ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხვალ ნიკა მელიას გადაყენებას კიდევ ერთხელ შეეცდებიან

გვ.4

12 იანვრიდან კულინარია ჰობად

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ხუთშაბათი, 12 იანვარი, 2017 №9 (7244) ფასი: 50 თეთრი

„სარფიდან თბილისამდე რამდენიმე ასეული ბორდელია“

„საქართველოს შიდსის ეპიდემია ემუქრება“

გვ.3

შალვა ხაჭაპურიძე: „ჩვენ ვიცით, პროსტიტუციის ბიზნესს ვინ მფარველობს“

„პრემიერის ადგილზე ვიტყოდი, რომ ამ ტიპის დანაშაულზე ნულოვანი ტოლერანტობა უნდა იყოს“

გვ.7

რამაზ საყვარელიძე: „კვირიკაშვილს მლებრიშვილისთვის საყვედური უნდა ეთქვა“

გვ.3



რამდენი ათასი დახარჯა თბილისის საკრებულომ 2016 წელს „გულავში“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „დაანებოს ქუმსიშვილმა ქალების ყურებას თავი და ამაზე გააჟრიალოს“

საქართველოს მთავრობამ გაზპრომთან კაპიტულაცია მოახდინა

გვ.6

შოთა მალაშხია: „გიგი უგულავა სახელს იფუჭებს“

„ნაცმოძრაობას რომ ეს ჯგუფი გამოეყოფოდა, ზაფხულში ვიცოდი“

გვ.4

ISSN 1987-9385

ჯემალ გამახარია: „რუსებმა წებელდაში მე-11 საუკუნის ქართული ეკლესია დაანგრიეს“

გვ.5



რამდენი ათასი დახარჯა თბილისის საკრებულომ 2016 წელს „გულავში“



ლადო სადღობელაშვილი: „დაანებოს ქუმსიშვილმა ქალების ყურებას თავი და ამაზე გააჟრიალოს“

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის საკრებულოს და მერიის წევრებს უცხოეთში ვოიაჟები რომ ძალიან უყვართ, ეს ყველამ კარგად ვიცით. იმასაც შეგუებულები ვიყავით, რომ ჩვენი ჩინოსნები „დასავლური გამოცდილების მისაღებად“ ევროპის ქვეყნებს სტუმრობდნენ. მერე, ეტყობა, პარიზები და ბერლინები მოსწყინდათ და შარშან ჩინეთსა და კორეაში გაიჭრნენ. ზოგიერთისთვის კი ამერიკა აღმოჩნდა მთავარი პრიორიტეტი, თანაც იმდენად მთავარი, რომ 4 დეპუტატს 1 თვის მანძილზე ნიუ იორკიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

ესენი როსტოვებში და მოსკოვებშიც სიამოვნებით წავიდოდნენ, მაგრამ ჩვენი და ჩვენი ბიუჯეტის ბედზე, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს.

საკრებულოს და მერიის წევრების ვოიაჟებით პატრიოტთა ალიანსი დაინტერესდა. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, ოფიციალურად გამოთხოვილი დოკუმენტაცია შოკის მომგვრელია.

– ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მერია და საკრებულო ჩვენს ხარჯზე „გულაობს“. მივმართავ ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს, დაანებოს ქალების ყურებას თავი, რომლებიც სუვენირების გაყიდვით ირჩენენ თავს და ბიუჯეტის ხარჯებს გადახედოს. საკრებულომ მართლა ბღუჯა-ბღუჯა ხარჯა ფული მივლინებებში, რაზეც ქუმსიშვილს მართლა უნდა აჟრიალებდეს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილმა.

მისი თქმით, ალიანსი ამ ეტაპზე მხოლოდ საკრებულოს ხარჯებს აქვეყნებს, მერიის მონაცემები კი მოგვიანებით გამოქვეყნდება. ალიანსელი გვპირდება, რომ ამ მონაცემებზე მთელ საქართველოს გააჟრიალებს.

– მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ახალი ბიუჯეტი დაამტკიცა, მე პირადად მეტად გამაღიზიანებლად ჩამესმის ფრაზა „10%-იანი ოპტიმიზაცია“. საინტერესო ისაა, რომ ოპტიმიზაციის საკითხი მერიისთვის, საკრებულოსა და გამგეობებისთვის პირდაპირ გაგებით იქნა აღქმული. 2017 წელი დაიწყო უამრავი ადამიანის სამსახურიდან გაშვებით ისე, რომ არც კი ინტერესდებიან მათი სამომავლო ბედ-იღბლით, როგორ და სად დასაქმდებიან ესა თუ ის პიროვნებები.

ყოველივე ამის მერე გამიჩნდა ინტერესი საკრებულოს დეპუტაციის ანაზღაურების შესახებ, დავინტერესდი და ოფიციალურად მოვიძიე მათი ხელფასები, პრემიები, დანამატები და სამივლინებო ხარჯები. შოკის მომგვრელი ფაქტები აღმოვაჩინე, – ამბობს ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეზე დიდი ხელფასი აქვს, ხოლო მისი დანამატი ზოგიერთი მინისტრის ხელფასის ტოლია.

– გიორგი ალიბეგაშვილს ყოველთვიურად აქვს 3.540 ლარი ხელფასი, ამას დამატებული დაუბეგრავი 60% დანამატი, რაც 2.120 ლარს უტოლდება, ანუ თვეში მას სარგო გამოსდის თითქმის 5.000 ლარამდე! ეს წელიწადში არის 60.000 ლარი, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

ამას ემატება 2016 წლის სამივლინებო ხარჯები, რაც 24.000 ლარს შეადგენს. საკრებულოს თავკაცმა 12 თვის ხელფასი აიღო, თუმცა სამსახურში მხოლოდ 9 თვე გაატარა – 2 თვე მივლინებებში იყო, ერთთვიანი შვებულება კი კანონით ეკუთვნოდა.

სადღობელაშვილის განცხადებით, ყველაზე მეტად საკრებულოს წევრებს ამერიკა გაუტკბათ.

– გასული წლის დასაწყისში ალიბეგაშვილი დეპუტაციასთან ერთად ნიუ იორკში ერთი თვის მანძილზე იმყოფებოდა. ცოტა უხერხული კია, მაგრამ სად თბილისი და სად ნიუ იორკი? ალიბეგაშვილთან ერთად აშშ-ში ლევან დარახველიძე, ქეთევან ჯოხაძე და ნინო გოგუაძე იმყოფებოდნენ. ეს უკანასკნელი ახლა პარლამენტის წევრია. მათი ნიუიორკული არდადეგები ბიუჯეტს 40.000 ლარზე მეტი დაუჯდა, – ამბობს ალიანსელი.

ამერიკის დალაშქვრის შემდეგ, საკრებულოს დელეგაცია თავმჯდომარის მეთაურობით ევროტურნეში წავიდა. ჩვენებურებმა ჩეხეთი, პოლონეთი და გერმანია გაიარეს მარშით.

სადღობელაშვილის ინფორმაციით, ალიბეგაშვილს ერთკვირიან „პაეზდკაში“ თან რიმა ბერაძე, სოსო მანჯავიძე, დავით უთმელიძე და შალვა ოგბაიძე ახლდნენ.

1 კვირა გაატარეს სტრასბურში ნინო გოგუაძემ და ჯაბა ჯიშკარიანმა. ზაზა კოლელიშვილმა კი კორეული გამოცდილების გაზიარება მოისურვა.

– ბატონმა კოლელიშვილმა აიღო 5.000 ლარის ოდენობის სამივლინებო ხარჯი და კორეის სახალხო რესპუბლიკაში, ქალაქ სეულში გაატარა 5 დღე. ვინმემ ამიხსნას, რას აკეთებდა ამდენი ხანი სეულში? ან კიდევ გიორგი მუსხელიშვილს რა უნდოდა ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში ერთი კვირით 7.217 ლარის სამივლინებო ხარჯით? ან ნიუ იორკში 15 დღეში 9,200 ლარი სამივლინებო ხარჯით? – კითხულობს სადღობელაშვილი.

ალიანსელი ყველაზე მეტად გიორგი მუსხელიშვილის ვოიაჟებით არის გაკვირვებული:

– ის გასული წლის ივლისში ბათუმში წასულა 1 კვირით და ამისთვის ბიუჯეტიდან 750 ლარი გამოუწერია.

საკრებულოს წევრებმა მარტო გასულ წელს მივლინებებში 250.000 ლარი დახარჯეს.

– მხოლოდ 2016 წელს სამივლინებო ხარჯებზე გაწერილია თითქმის 250.000 ლარი. ხაზს ვუსვამ – ეს არის სამივლინებო ხარჯები! მივმართავ მათ, უსინდისოები ხართ, თქვენს სეირნობაში დაიხარჯა 20 ადამიანის წლიური ხელფასი! თქვენს დანამატებში იხარჯება 35 ადამიანის წლიური ხელფასი! აი, ეს არის თქვენი ოპტიმიზაცია. ამ ინფორმაციას ერთი მიზნით ვასაჯაროებ – მინდა ხალხმა ნახოს, რომ ამ გაჭირვებული ქვეყნის ბიუჯეტს საბიუჯეტო მატლები ჰყავს შესეული, – ამბობს სადღობელაშვილი.

მისი თქმით, მერიის სამივლინებო ხარჯები საერთოდ ყველას გააოცებს.

„გირჩის“ ოფისიდან 84 ძირი კანაფის ქოთანი წაიღეს

გუშინ, 11 იანვარს, ექსპერტ-კრიმინალისტებმა „გირჩის“ ოფისში საგამოძიებო სამუშაოები ჩაატარეს და ოფისიდან 84 ძირი კანაფის ქოთანი წაიღეს.

ექსპერტების მუშაობის გამო პარტიის ოფისი „გირჩის“ ყველა წევრს დაატოვებინეს. საგამოძიებო მოქმედებებს მხოლოდ პარტიის ლიდერები ზურაბ ჯაფარიძე და იაგო ხვიჩია ესწრებოდნენ.

– დაახლოებით 12 საათზე შს სამინისტროს წარმომადგენლები მოვიდნენ ოფისში. მათ სასამართლოს ნებართვა წარმოადგინეს, რომ ჰქონდათ ჩხრეკის უფლება. გამოძიება 265-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც მცირე ოდენობით ნარკოტიკის შემცველ მცენარის კულტივირებას გულისხმობს. არადა მოხდა მეორე და მესამე ნაწილის დარღვევა, რადგან იყო ჯგუფური და იყო დიდი ოდენობით, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

მისი თქმით, გამოსაძიებელი არაფერია, რადგან ყველაფერი საჯაროდ მოხდა.

მოგვიანებით „გირჩის“ წევრებმა განცხადება გაავრცელეს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2016 წლის 31 დეკემბრის ღამეს, „გირჩის“ ოფისში შედგა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტი.

– ადამიანებმა გააპროტესტეს რეპრესიული, არაჰუმანური ნარკოპოლიტიკა და მოითხოვეს სახელმწიფოსგან ადამიანის უფლებების პატივისცემა. დაუმორჩილებლობის აქტის ყველა დეტალი იყო საჯარო, პოლიტიკური პარტიის პოზიცია კი ცნობილი იყო საჯაროდ გაკეთებული არაერთი განცხადებით.

ხელისუფლებას ჰქონდა ორ თვემდე ვადა პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად ან ვალდებულება – 31 დეკემბერსვე ემოქმედა ისევე, როგორც მოქმედებს რიგითი მოქალაქეების მიმართ.

დაუმორჩილებლობის აქტის ჩატარებიდან 11 დღის გასვლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრო იკავებს პოლიტიკური პარტიის ოფისს და მტკიცებულებების სახით აღწერენ და იღებენ კანაფის ნარგავებს, – ნათქვამია განცხადებაში.

„გირჩი“ ხაზს უსვამს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლი, რომლის გამოც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

– ჩვენ მოვითხოვთ, პოლიტიკური გადაწყვეტილების ან საკონსტიტუციო გადაწყვეტილების მიღებამდე ხელისუფლებამ შეაჩეროს ყველა საქართველოს მოქალაქის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა, – აღნიშნულია განცხადებაში.

„გირჩის“ წევრები თვლიან, რომ მორალური დისკომფორტის გამო, ხელისუფლება ვერ იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და ვერ აკავებს ამ პოლიტიკური აქტის მონაწილეებს.

– ცხადად ჩანს, რომ სიმართლე კანონის მხარეს არ არის, რადგან ეს კანონი გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში და რადგან ამ უსამართლო კანონის ფაქტობრივი აღსრულება ჭირს საზოგადოების მეტ-ნაკლებად გავლენიანი წევრების მისამართით, მოვითხოვთ, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვით, ხელისუფლებამ გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე შეაჩეროს ამ მუხლით განხორციელებული ყველა სისხლის სამართლებრივი დევნა, – ნათქვამია „გირჩის“ განცხადებაში.

ესპანეთში ქართული მაფიის 61 წევრი დააკავეს

ესპანეთის რამდენიმე ქალაქში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ქართული მაფიის 61 წევრი დააკავეს.

ამის შესახებ, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით, ადგილობრივი გამოცემა ელ მუნდო იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, დამნაშავეთა კლანში 9 სხვადასხვა დაჯგუფება შედიოდა და ისინი ძირითადად ყაჩაღობით იყვნენ დაკავებული.

ქართველებთან ერთად ესპანეთის 8 მოქალაქეც დააპატიმრეს.

სპეცოპერაციის შედეგად 35.000 ევრო, ძვირადღირებული ტექნიკა, ძვირფასეულობა და ათასობით კოლოფი სიგარეტი ამოიღეს.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ნაძარცვი თანხის უმეტესი ნაწილი საქართველოში გადარიცხეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „კვირიკაშვილს მღებრიშვილისთვის საყვედური უნდა ეთქვა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მინისტრების შესახებ საუბრობს.

– პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განცხადება გააკეთა, რომელიც ღამის კლუბებში პროსტიტუციას ეხებოდა. კვირიკაშვილის ამ განცხადებას სოციალურ ქსელებში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. უნდა იყოს თუ არა მსგავსი პრობლემებით დაკავებული პრემიერი? თუ პრემიერმა მიიღო ეს ინფორმაცია, შს მინისტრს არ ჰქონდა აღნიშნული ინფორმაცია თუ რეაგირება არ მოახდინა?

– სოციალურ ქსელებში სწორედ იმიტომ მოჰყვა ესოდენ დიდი გამოხმაურება ამ საკითხს, რომ მოქალაქეებს აინტერესებთ, დაკისრებულ მოვალეობას რამდენად ართმევენ თავს ის ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლებას დღეს.

– ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა მინისტრი არის პასუხისმგებელი?

– პირველი, ვისაც ამ საკითხზე უნდა ჰქონოდა ინფორმაცია, დედაქალაქის მერია.

– თბილისის მერი?

– დიახ, რადგან საუბარია თბილისზე, აქ არსებულ კაფე-ბარებზე. თუმცა, პროსტიტუცია პრობლემა არის ასევე აჭარის რეგიონისთვის და ყველას კარგად ახსოვს ქუჩაში გამოსული მოსახლეობა, რომელიც პრობლემის გადაჭრას ითხოვდა. ამ შემთხვევაში ეს პრობლემა აჭარის ხელმძღვანელობის მოსაგვარებელია. ასევე სხვა ნებისმიერ რეგიონში არსებული პრობლემა ადგილზეა მოსაგვარებელი, აბა რისთვის გვინდა ადგილობრივი თვითმმართველობები და დეცენტრალიზაცია.

– ზოგადად რამდენად ადეკვატურად, კეთილსინდისიერად სრულდება ფუნქციები, რომლებიც პრემიერს მინისტრთა კაბინეტზე აქვს გადანაწილებული?

– უფრო ადეკვატურად რომ სრულდებოდეს და მით უფრო კეთილსინდისიერად, მაშინ ჩვენ ამ თემაზე არ მოგვიწევდა საუბარი.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრემიერს მთავრობის სხდომა უნდა გამოეყენებინა ამ საკითხისთვის?

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, სცენარი ასეთი უნდა ყოფილიყო: პრემიერ კვირიკაშვილს მთავრობის სხდომაზე დავალება კი არ უნდა მიეცა შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, არამედ საყვედური უნდა გამოეცხადებინა. პირველი ინფორმაცია უნდა მიეღო დედაქალაქის მერს, რომელსაც საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა შინაგან საქმეთა მინისტრი, შემდეგ პრობლემის მოგვარების გეგმა უნდა დასახულიყო და გადაჭრილი პრობლემის შესახებ მთავრობის სხდომაზე უნდა მოეხსენებინათ პრემიერ-მინისტრისთვის.

ეს იქნებოდა სწორი მოქმედება, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ პირიქით განვითარდა მოვლენები. ეს პრობლემა რომ არსებობს, ფაქტია და ამის შესახებ ცნობილია. ამიტომ ვამბობ, რომ ამის შესახებ ინფორმაცია პრემიერ-მინისტრისგან არ უნდა წამოსულიყო, პირიქით, ის უნდა ჩაეყენებინათ საქმის კურსში, როგორ ხდება პრობლემასთან გამკლავება.

თუმცა, თქვენ მკითხეთ, უნდა გაეკეთებინა თუ არა პრემიერს ეს განცხადება მთავრობის სხდომაზე? ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: ჩვენ არ ვიცით, პრემიერი რა კონტექსტით ხელმძღვანელობდა, როდესაც ამ განცხადებას აკეთებდა. არ არის გამორიცხული, რომ სულაც არ იყო ეს შს მინისტრის საყურადღებოდ ნათქვამი.

– შეიძლება ადრესატი სხვა ყოფილიყო?

– არ არის გამორიცხული, რომ ეს განცხადება ნათქვამი იყოს იმ სუბიექტების მისამართით, რომლებზეც პრემიერის ძალაუფლება არ ვრცელდება.



– ხშირ შემთხვევაში მეპატრონეები ადგილობრივები არ არიან. თუმცა, პროსტიტუცია ჩვენი კანონმდებლობით დასჯადია.

– დიახ, ამიტომ ვსაუბრობ სწორედ კონტექსტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გიორგი კვირიკაშვილს შეეძლო მღებრიშვილისთვის პირისპირ ეთქვა ან დაერეკა და ისე ეთქვა.

– ბატონო რამაზ, ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ გაზაფხულზე არ გამორიცხავთ მინისტრთა კაბინეტის გადახალისებას. კვლავ იგივე აზრზე ხართ?

– ეკონომიკური გუნდის ცვლილებამ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვალა. ადამიანები ამბობენ, თუ ლარი კვლავ უბედურ დღეში იქნება, მაშინ რას ერჩოდნენ ხადურს, კი იძახდა, ჩემი ბრალი არ არისო. ცხადია, რომ შექმნილი ეკონომიკური ვითარება ერთი ან ორი ადამიანის ბრალი არ არის. ეკონომიკური ბლოკის მინისტრების ცვლილებამ არაფერი მოგვცა, კვლავ აქტუალური რჩება, როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს ეკონომიკას. ამიტომ, სანამ წნეხი არ მოიხსნება ლარზე, სხვა მიმართულებით ყურადღების გადატანა დიდი ფუფუნება იქნებოდა ხელისუფლებისთვის, კონკრეტულად პრემიერისთვის.

ამიტომ მთელი რესურსების მობილიზება, მაქსიმალური ძალისხმევა სწორედ ეკონომიკაში უნდა მოხდეს, რათა მოსახლეობამ იგრძნოს, რომ მისი პრობლემა ხელისუფლების პრობლემაც არის და რომ ამის მოგვარებით არის დაკავებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გაუჭირდება.

გიგლა ბარამიძე: „სარფიდან თბილისამდე რამდენიმე ასეული ბორდელია“

შორენა მარსაგიშვილი

„პროსტიტუციას ხელისუფლების წარმომადგენლები მფარველობენ“

ღამის კლუბებსა და ბორდელებში ქართველი მამაკაცების დისკრიმინაციის შესახებ არაერთი ხმაურიანი განცხადება გაკეთებულა, მათ შორის პარლამენტის სხდომაზეც. ამის გასაპროტესტებლად ქართველი პატრიოტები ერთხელ ღამის კლუბშიც კი შეიჭრნენ.

ამ ხმაურს აქამდე ხელისუფლება არაფრად აგდებდა. ბოლო ხანებში დისკრიმინაციამ და ქვეყნის ბორდელიზაციამ, ეტყობა, ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ამ თემაზე პრემიერმაც კი გააკეთა განცხადება.

მისი ინფორმაციით, „ვარდების მოედნის“ ქვემოთ მდებარე ბარებსა თუ სხვადასხვა ობიექტში ხდება კანონდარღვევები და იქ ქართველ მამაკაცებს არ უშვებენ. გიორგი კვირიკაშვილმა შს მინისტრს დავალება მისცა.

მთავრობის მეთაურის მხრიდან ასეთი განცხადებების გაკეთებას დიდი ამბები მოჰყვა. არასამთავრობოებმა კვირიკაშვილი დაგმეს, პოლიტიკოსების ნაწილს კი მიაჩნია, რომ პრემიერს ამაზე განგაში ცოტა ადრე უნდა აეტეხა.

წლების წინ ამ თემასთან დაკავშირებით საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ჯონდი ბაღათურიამ. ნაციონალურმა ხელისუფლებამ ამას ყურადღება არ მიაქცია, თავი არც საოცნებო ხელისუფლებას შეუწუხებია.

– საქართველოში ამ მხრივ არის უმძიმესი მდგომარეობაა. ქალთა და მამაკაცთა შრომითი და სექსუალური ტრეფიკინგის ოდენობის თვალსაზრისით საქართველო რეგიონში პირველ ადგილზე იმყოფება. ეს დასკვნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2012 წლის ანგარიშში გამოაქვეყნა.

ამ დასკვნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას ვითარების გამოსასწორებლად ყველაფერი უნდა გაეკეთებინა. მათ კი თითი-თითზე არ დაუკარებიათ. ამ ფონზე იმედისმომცემია პრემიერის განცხადება. მას ამის გაკეთება დააგვიანდა. იმედია, ამ განცხადებას საქმეც მოჰყვება, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ბაღათურია.

პრემიერის განცხადებას დაგვიანებულად მიიჩნევს ყოფილი პოლიტდევნილი, დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიგლა ბარამიძეც.

მისი თქმით, საქართველოში რომ პროსტიტუცია ყვავის, ეს ყველამ იცის, მაგრამ ამას ხელს არავინ უშლის.

– ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, მაგრამ პროსტიტუციის პრობლემა მაინც განსაკუთრებულად მწვავედ დგას. ბოლო 4 წლის მანძილზე აღარც კი მახსოვს, ამ თემაზე რამდენი განცხადება გავაკეთე. ვასახელებდი კონკრეტულ ფაქტებს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა ამას.

სარფიდან თბილისამდე რამდენიმე ასეული ბორდელი იქნება. საშინელებები ხდება თბილისში მდებარე ღამის კლუბებში თუ სასტუმროებში. პროსტიტუცია ყვავის დიდი ქალაქის ცენტრებში, დავიჯერო, ამას არავინ ხედავს? – კითხულობს ბარამიძე.

მისი თქმით, დიდი ალბათობით ამ ბიზნესს ვიღაც სერიოზული ფიგურა მფარველობს.

– მთელი სინდიკატია შექმნილი და პროსტიტუციაში დიდი ოდენობის შავი ფული ტრიალებს. სწორედ პროსტიტუციაზეა აგებული 3 და 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების დიდი ნაწილის და ღამის კლუბების მუშაობა. ამ ბიზნესზეა მიბმული მსუბუქი ნარკოტიკი.

აქაურ ბორდელებში სამუშაოდ ვიეტნამიდან და შუა აზიის ქვეყნებიდან ჩამოჰყავთ მეძავი ქალები. ამ სფეროში აქტიურად არიან ჩაბმული ქართველი გოგონებიც. საუბარია 14-15 წლის მოზარდებზე. მათი უმეტესობა ამ ბიზნესით ირჩენს თავს. ეს ყველაფერი სააშკარაოზეა გამოტანილი, მაგრამ ამის შემჩნევა არავის უნდა.

კონკრეტული ფაქტები არ მაქვს ხელთ, რომ ვინმე დავადანაშაულო, მაგრამ პროსტიტუციის მასშტაბებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ამ ბიზნესს ხელისუფლების წარმომადგენლები ან სამართალდამცავები მფარველობენ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში გიგლა ბარამიძე.

პროსტიტუციის მფარველებზე სერიოზული ეჭვები აქვს ჯონდი ბაღათურიასაც.

– გახრწნილების ბუდედ გადაიქცა თბილისი და ბათუმი. სარფიდან ბათუმამდე 500 ბორდელია. დავიჯერო, ამას მარტო მე და მოსახლეობა ვხედავთ? ამას ხომ ვიღაც „კრიშავს“? წინააღმდეგ შემთხვევაში ასე თამამად ვერ იმოქმედებდნენ. ძალიან სამწუხაროა იმის აღიარება, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი სუტენიორია, – აცხადებს ბაღათურია.

მისი თქმით, პროსტიტუცია ახლო მომავალში საქართველოს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

– ქვეყანაში პროსტიტუცია ყვავის და ძალიან მაღე ჩვენ, შესაძლოა, შიდსის ეპიდემიის წინაშე აღმოვჩნდეთ. შესაძლოა, უკვე დგას ეს პრობლემა, მაგრამ ხმას არ იღებენ, – ამბობს ყოფილი დეპუტატი.

ბაღათურიას და ბარამიძის ეჭვებს პროსტიტუციის მფარველობასთან დაკავშირებით ისიც ამძაფრებს, რომ ქართველ მამაკაცებს ამ ღამის კლუბებში არ უშვებენ.

– ხელისუფლების ნებართვის გარეშე ვერც არაბები, ვერც ირანელები და ვერც თურქები აქ ბორდელებს ვერ გახსნიდნენ. მით უმეტეს, საქართველოს მოქალაქეებს ვერ გაუბედავდნენ, რომ ამა თუ იმ დაწესებულებაში არ შეეშვათ. ეს ყველაფერი ძალიან სამწუხაროა და ეს პრობლემა აუცილებლად მისახედია, – აღნიშნავს დემოკრატიული მოძრაობის წევრი.

ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ კარგია თუ ამ კლუბებში ქართველებს არ უშვებენ, მაგრამ მეორე საკითხია, შენს ქვეყანაში რომ ასეთ რამეს გიბედავენ.

– ძალიან კარგია, თუ ქართველი ახალგაზრდები ამ გახრწნილების ბუდეში არ შევლენ, მაგრამ იქ მათ შესვლა არავინ უნდა აუკრძალოს. ეს არის დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით, – ამბობს ბაღათურია.

მას აინტერესებს, რატომ არ იღებს ამ დისკრიმინაციაზე ხმას არასამთავრობო სექტორი. ბაღათურიას არც პრემიერის განცხადებაზე გაკეთებული კომენტარები მოეწონა.

– არ გამკვირვებია ლიბერალების ქილიკი, ეს ის ლიბერალები არიან, რომლებისთვისაც პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი და ნარკომანია ცხოვრების წესია. ისინი პირდაპირ ლობირებენ ამას. მოვუწოდებ პრემიერს, არ აჰყვეს მათ ღლიცინს და ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოს, – აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი.

პრემიერის განცხადებით აღფრთოვანებული არც გიგლა ბარამიძეა, მაგრამ ისიც მიიჩნევს, რომ კვირიკაშვილი არასამთავრობოების გავლენის ქვეშ არ უნდა მოექცეს.

– ამ თემაზე პრემიერი არ უნდა აკეთებდეს განცხადებებს, მაგრამ სიტუაციის სიმწვავიდან გამომდინარე კარგია, ამ თემაზე ვიღაცამ რომ დაიწყო ლაპარაკი. ამათ არასამთავრობოების პოზიციის ყოველთვის ეშინიათ და იმედია, უკან არ დაიხევენ. საერთოდ არ უნდა მიაქციონ ყურადღება, რას ლაპარაკობენ ისინი და ის აკეთონ, რასაც არასამთავრობოები აპროტესტებენ, – მიიჩნევს ბარამიძე.

ის არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხიოს.

– ძალიან ცუდია, რომ მათ არ ჰყოფნით გამოცდილება და გამბედაობა რაღაცის გასაკეთებლად. ახლაც ასე ხდება, პრემიერმა თავის განცხადებას თან რამდენიმე განმარტება მოაყოლა. ასე არაფერი გამოვა, – ამბობს დემოკრატიული მოძრაობის წევრი.

◆ ◆ ◆

სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე კი მიიჩნევს, რომ პროსტიტუციაზე პრემიერმა ხმაური სხვა პრობლემების გადასაფარად ატეხა.

– არაბულ კლუბებში პროსტიტუციის თემით სურს მთავრობას გადაფაროს ფასების აწევა, ლარის გაუფასურება, ხალხის გაღატაკება, კორუფცია, უგულავას გამოშვება, ბოკერიასთან ალიანსი, უნიათობა, არაკომპეტენტურობა,

„საქართველოს შიდსის ეპიდემია ემუქრება“

ქვეყნის დაქცევა და განადგურება.

პატრიოტული საქმე პოპულიზმით არ ხდება. ქართული საქმე გულით უნდა გააკეთო. საიდან უნდა იცოდეს შევარდნაძის გამოზრდილმა პუტჩისტმა კვირიკაშვილმა პატრიოტიზმი? არსაიდან, შევარდნაძისგან ამას ვერ ისწავლიდა.

მთავრობაში ჩემი ყოფნის დროს დავუდე ფაქტები, თუ რა ხდებოდა უცხოელების მიერ ოკუპირებულ პლეხანოვსა და რესპუბლიკის მოედანზე, მაგრამ გაჩუმება მირჩიეს, თურმე დიდი ხალხის დიდი ბიზნესი ყოფილა პროსტიტუციის ღამის კლუბები.

დღეს გაუჭირდათ და პოპულისტურად თქვეს. როგორც ნარკოტიკი ვერ გაიყიდება ძალოვნების კრიშის გარეშე, ასევე ასეთი საეჭვო დაწესებულებები ვერ იფუნქციონირებს, – წერს სანდრო ბრეგაძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ძ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

შოთა მალაშხია: „გიგი უგულავა სახელს იფუჭებს“

მარიამ მჭედლიშვილი

„ეს პარლამენტი მედიასაც აღარ აინტერესებს“

საქართველოს პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას ესაუბრა.

– ნაცმოძრაობიდან გამოდის გიგა ბოკერიას დაჯგუფება. ეს ადრევე იყო მოსალოდნელი?

– ეს მოსალოდნელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს ზაფხულში ვივარაუდე. მაშინ ცესკოში რეგისტრაციაში ატარებდნენ ნუგზარ წერეთლის ლექტორთა კავშირს. მოგვიანებით ლექტორთა კავშირს დაარქვეს ევროპული საქართველო.

ექსკლუზიურად გეტყვით – მაშინ არაერთ ადამიანთან, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებთან აღვნიშნე, რომ დაახლოებით 25-კაციანი ჯგუფი გამოეყოფოდა ნაციონალურ მოძრაობას და შევიდოდა ევროპულ საქართველოში.

გარდა ამისა, დარწმუნებით ვაცხადებდი, რომ ინაშვილი, რამდენიმე თანაპარტიელთან ერთად, აუცილებლად მოხვდებოდა პარლამენტში. ამაზე მედიასთან საუბრისაგან თავს ვიკავებდი. არ მინდოდა, რომ ჩემთვის გარკვეული პროცესებისთვის ხელის შეშლა დაებრალებინათ. ლექტორთა კავშირი, ანუ ევროპული საქართველო კონკრეტული მიზნებისთვის შეიქმნა. პოლიტიკოსების ჯგუფი სწორედ ამ პარტიაში გადადის.

– თქვენ მათ საქციელს არ იწონებთ?

– რასაკვირველია, არა. რეალობა ასეთია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის იყო სააკაშვილი. მიხეილ სააკაშვილი დღესაც წარმოადგენს ნაციონალურ მოძრაობას. ეს პარტია მის სახელთან ასოცირდება. შეიძლება ითქვას, ამჟამად უფრო მეტადაც. სააკაშვილი ზედიზედ გამოვიდა სიენენ-ზე, ენბისი-სა და ფოქს ნიუსზე.

ეს ადასტურებს იმას, რომ იგი წარმატებული და მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსია და მისი აზრი აინტერესებთ. განსაკუთრებით რუსეთის თემაზე. უკრაინაში მაკეინი ჯერ სააკაშვილს შეხვდა, შემდეგ კი – პოროშენკოს. სააკაშვილი არის წარმატებული ოპოზიციური ძალის არქიტექტორი უკრაინაში. ამ დროს მის წინააღმდეგ მოძრაობა ნიშნავს რუსეთის ინტერესების გატარებას.

– უნებლიეთ?

– შეგნებულად ართმევდნენ პარტიას სააკაშვილს თუ შეუგნებლად, სხვა საკითხია. ვინც ამას აკეთებდა, მარტო ზნეობა კი არა, ტვინიც არ ჰქონია.

– რა პერსპექტივა ელოდებათ გამოყოფილებს?

– არანაირი. ნაციონალური მოძრაობიდან გამოსული ჯგუფი გახდება რესპუბლიკური პარტია 2.

– გიგი უგულავას პოლიტიკური მომავალი როგორი შეიძლება იყოს?

„ნაცმოძრაობას რომ ეს ჯგუფი გამოეყოფოდა, ზაფხულში ვიცოდი“

– კარგია, როცა კაცი ციხიდან გამოდის და შვილებთან ყოფნის საშუალება ეძლევა. გიგი უგულავას მომავალი მასზეა დამოკიდებული. ის თვითონ გადაწყვეტს, დაიღუპავს როგორც პოლიტიკოსი თავს თუ გადარჩება. მალე გამოჩნდება, დარჩება თუ არა მას ის სახელი, რომლითაც ციხეში შევიდა. უკვე ჩანს იმის ნიშნები, რომ გიგი უგულავა სახელს იფუჭებს.

– ადრე აღნიშნეთ, რომ ნაცმოძრაობის დეპუტაცია ახდენს „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას. დღეს საკანონმდებლო ორგანოში გაყოფილი ნაცმოძრაობის ორივე მხარეა. ისევ მიიჩნევთ, რომ ნაცმოძრაობა პარლამენტში არ ასახავს თავისი ამომრჩევლის ინტერესებს?

– რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობა არ გამოხატავს თავისი ამომრჩევლების ინტერესებს. ამ დეპუტატების უკან არ დგას ხალხი. ლეგიტიმაცია და „გაპრავება“ უკვე მოხდა. ნაცმოძრაობამ აღიარა, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ ეს თემა დაივიწყა და მშვიდად შევიდა პარლამენტში. ამომრჩეველი ამას არ ეთანხმება. გადაწყვეტილებებზეც ვერ ახდენენ გავლენას! „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და უმცირესობამ რა უნდა შეცვალოს?

– უმცირესობა ტრიბუნას იყენებს.

– ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში ვერაფერს აკეთებს. თუ დააკვირდებით, „ქართული ოცნება“ ნაციონალებს პირდაპირ არ უპირისპირდება. მმართველი პარტია ამას აკეთებს ინაშვილისა და მისი ფრაქციის ხელით. პარლამენტი შორსაა საზოგადოებისგან. ხალხს უნდა სწრაფი რეფორმები და მეტი დემოკრატია. ამას პარლამენტი ხელს ვერ უწყობს.

– ისევ ფიქრობთ, რომ პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს?

– ხალხის უკმაყოფილება დიდია. სოციალური მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. პარლამენტი არ წარმოადგენს მოსახლეობას. მოსალოდნელია პროცესები ქუჩაში.

– პოლიტიკური ორგანიზაციების გარეშე?

– ამ პროცესების მართვას შეძლებს ის პოლიტიკური პარტია, რომელიც სწორად მოიქცევა. ხალხი გაჰყვება იმ ძალას, რომელიც სახელმწიფოს პერსპექტივებზე იფიქრებს და არა – შიდა კინკლაობაზე. ხელისუფლებას სახელმწიფო კვდომის რეჟიმში ჰყავს. ვინც დაძრავს პროცესებს, ადგილობრივ არჩევნებშიც ის გაიმარჯვებს. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ქუჩაში გდია.

– ხალხს მარტო ადგილობრივი თვითმმართველობა ხომ არ აინტერესებს?

– ბუნებრივია, საზოგადოებას უნდა, რომ თავისი ინტერესების გამტარებლები ჰყავდეს პარლამენტში. შეიძლება ვადამდელი არჩევნების საკითხი შემოდგომაზე დადგეს. დღევანდელი პარლამენტი არაფერს აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს. ისეთი სიტუაციაა, რომ მათი მიღებული კანონები ვერ იმუშავებს. დღევანდელი დეპუტატები სხედან და თამაშობენ დეპუტატობანას. ადამიანებს მათი საქმიანობა ოდნავადაც არ აინტერესებთ. ეგ კი არა, პარლამენტის მუშაობა მედიასაც აღარ იზიდავს. მიუხედავად იმისა, რომ იქ სამი პოლიტიკური პარტიაა.

– მოსალოდნელია თუ არა, რომ მომავალში პოლიტიკურ პროცესებში რაიმე როლი შეასრულოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა?

– ეს ნაკლებად წარმომიდგენია. მან თავისი შანსი ხელიდან გაუშვა. ეს შანსი უნდა გამოეყენებინა, როცა აირჩიეს. როცა საქმიანობას შეუდგა, გიორგი მარგველაშვილმა დაიწყო ურთიერთობების დალაგება ბიძინა ივანიშვილთან. ეს არ გამოუვიდა. სამწუხაროდ, ამ ადამიანს საზოგადოებაშიც არ გააჩნია საკმარისი მხარდაჭერა და ნდობა.

ხვალ ნიკა მელიას გადაყენებას კიდევ ერთხელ შეეცდებიან

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ ძველით ახალ წელს ფრაქციის ახალი თავმჯდომარით შეხვდნენ.

13 იანვარს ყოფილი ხელისუფლება ფრაქციის მორიგ სხდომას გამართავს, რომლის მთავარი საკითხიც დაუმორჩილებელი ნიკანორის, იგივე ნიკა მელიას ფრაქციის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენება იქნება.

მის ჩამოლაბორანტებას გიგა ბოკერიას ფლანგი ჯერ კიდევ 9 იანვარს შეეცადა. თავყრილობა დიდი ხმაურით წარიმართა, მაგრამ მელიას გადაყენება ვერ მოხერხდა. ამის გაკეთება ნაციონალებმა 12 იანვრისთვის გადადეს, მაგრამ 11 იანვარს გადაწყვიტეს, რომ 13 იანვარს გამართავენ ფრაქციის სხდომას.

ვის მხარეს გადაიხრება მერაბიშვილი

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ირმა ნადირაშვილი ამბობს, რომ ფრაქციის სხდომის დღის წესრიგი ჯერ დაზუსტებული არაა, ამიტომ დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

ამ საკითხში უფრო ღრმად არიან ჩახედულები გიგი წერეთელი და ხათუნა გოგორიშვილი.

დეპუტატი გიგი წერეთელი არ გამორიცხავს, რომ 13 იანვარს ფრაქციას სახელიც შეეცვალოს. მიხეილ სააკაშვილის ფრთა სახელის, ნაციონალური მოძრაობა, დათმობას არ აპირებს.

– სხდომაზე ვისაუბრებთ როგორც ფრაქციის ახალი თავმჯდომარის არჩევაზე, ასევე ფრაქციისთვის სახელის შეცვლაზე, – ამბობს წერეთელი.

გავრცელებული ინფორმაციით, ისინი სახელად ევროპულ საქართველოს აირჩევენ. მათ მიერ უარყოფილი ნიკა მელია კი ახლად ნაშობი ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გახდება.

ნიკა მელიას შეცვლა აუცილებელია, რადგან ის თანაფრაქციელებს ცოცხლად აღარ ეკონტაქტება.

– 13 იანვარს ფრაქციის სხდომაზე რამდენიმე საორგანიზაციო საკითხი განიხილება, მათ შორის უნდა ვიმსჯელოთ, როგორ შეიძლება, ადამიანი, რომელიც ტელევიზიით გველაპარაკება, იყოს ჩვენი ფრაქციის თავმჯდომარე, – განაცხადა გოგორიშვილმა.

სანამ პარლამენტში მოხვედრილები ფრაქციის სხდომისთვის ემზადებიან, გარეთ დარჩენილები პარტიის ქონებას იყოფენ.

სააკაშვილის ფრთა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაშია გამაგრებული, ბოკერიას ფრთა კი სათავო ოფისს ყარაულობს. გავრცელებული ინფორმაციით, სათავო ოფისში მყოფებმა უკვე დაიწყეს ტექნიკის გატანა.

პარტიაში არ გამორიცხავენ, რომ ამის გამო საქმე შესაძლოა სასამართლომდეც მივიდეს. გიგი წერეთელს კი ვერაფრით წარმოუდგენია, ქონების გაყოფაზე ნაციონალებს შორის სასამართლო დავა გაიმართოს.

– ყველაფერი წესით და კანონით უნდა მოხდეს. ბლოკში შედიოდა ორი პარტია. კანონის შესაბამისად, ამ ორ პარტიას აქვს სახელმწიფო დაფინანსება და ალბათ ასეც მოხდება გაყოფა, ისე, როგორც წესია.

რაც შეეხება სხვა მატერიალურ ქონებას, წარმოუდგენელია, ამაზე გაიმართოს რაიმე დავები, სასამართლოები და სხვა. ამის სურვილი არ მგონია, ვინმეს ჰქონდეს. ამიტომ ეს საკითხიც მგონია, რომ გადაწყდება რაღაც შეთანხმებით. მე არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დამატებითი უთანხმოების საგანი გახდება, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

დეპუტატი თინა ბოკუჩავა კი არ გამორიცხავს, რომ საქმე აქამდეც მივიდეს. მისი თქმით, ბოკერიას გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რომ მაქსიმალური ზიანი მიაყენოს ნაციონალურ მოძრაობას.

– ბოკერიას გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი აზრით, მაქსიმალური ზიანი მიაყენოს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, სანამ ისინი გავლენ, სანამ დატოვებენ პარტიას. ერთ-ერთი ხრიკი, რაც გამოყენებული იყო ამ მიზნით, სწორედ იყო ადამიანების ამოყრა, რომლებიც მოიაზრებიან, რომ დარჩებოდნენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში, – აღნიშნა ბოკუჩავამ.

პარტიის დატოვების კვირეულის გახსნას ნიკა მელია 12 იანვარს ვარაუდობდა. პირველი მერცხალი გუშინ, 11 იანვარს, გამოჩნდა. წასვლის შესახებ განცხადება ტარიელ ლონდარიძემ გააკეთა.

ასპინძის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი თავს ნაცმოძრაობის უარმყოფელად არ თვლის და ამბობს, რომ მან სააკაშვილი დატოვა.

ლონდარიძის თქმით, სააკაშვილმა ვერ შეძლო პარტიაში დაპირისპირების განმუხტვა და გამაერთიანებელი ლიდერის როლის შესრულება.

– ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ენმ-ში მიმდინარე დაპირისპირებაში მიხეილ სააკაშვილის როლია, რომელმაც ვერ შეძლო პარტიაში დაპირისპირების განმუხტვა და გამაერთიანებელი ლიდერის როლის შესრულება, რაც პირადად ჩემთვის ძალიან სამწუხაროა.

დრო გაივლის, ვნებათაღელვა ჩაცხრება, ცივ გონებაზე თითოეული დაფიქრდება და დასკვნებს გამოიტანს, მე კი გადავწყვიტე დავტოვო მიხეილ სააკაშვილი და ვცადო დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ მის გარეშეც შეიძლია ვებრძოლო ჩემი ქვეყნის მტრებს. იმედს ვიტოვებ, დადგება კვლავაც გაერთიანების დრო.

ყველას დიდი მადლობა, მიუხედავად ჩვენი პოზიციებისა, ყველანი მიყვარხართ და დიდ პატივს გცემთ. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გისურვებთ გამარჯვებას თქვენ ფრონტის ერთი ფლანგიდან და ჩვენ მეორე ფლანგიდან, — დაწერა სააკაშვილის უარმყოფელმა ლონდარიძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

13 იანვრის ფრაქციის სხდომის წინ პარტიაში იმაზეც უფრიალებთ გული, თუ რომელ მხარეს გადაიხრება ვანო მერაბიშვილი.

აკაკი ბობოხიძე თითქმის დარწმუნებულია, რომ მერაბიშვილი მათ, ანუ ბოკერიას ფრთას, დაუჭერს მხარს. ამ ფრთის ახალგაზრდა წევრი და ვანო მერაბიშვილის ადვოკატი ოთარ კახიძე კი ამაში ღრმად დარწმუნებული არ არის. მისთვის უცნობია, საით გადაიხრება მერაბიშვილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ახალი ფრაქციის თავმჯდომარე ოთარ იგივე ოთო კახიძე გახდება, რომელსაც სააკაშვილის ფრთამ თოთო კახიძე შეარქვა.

ჯემალ გამახარია: „რუსებმა წებელდაში მე-11 საუკუნის ქართული ეკლესია დაანგრიეს“

„ამ ფაქტს დიდი აღფრთოვანებით არც აფხაზური საზოგადოება შეხვედრია“

გულიკო ბალაძე



რუსული ხელისუფლება მე-19 საუკუნეში ჯავახეთსა და აჭარაში (ჯავახეთში არსებობდა როგორც მუსლიმანური, ასევე კათოლიკური მოსახლეობა) მართლმადიდებლობაზე მოქცევას ხელს უშლიდა. მართლმადიდებლობის მიღება მაშინ გაქართველებას ნიშნავდა, ანუ თუ ისინი მართლმადიდებლობაზე მოექცეოდნენ, გაქართველდებოდნენ, ქართველობა გაძლიერდებოდა. გაქართველება რომ არ დაეშვა, მართლმადიდებლური სახელმწიფო, რუსეთი, ხელს უშლიდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მისი ქვეშევრდომების მოქცევას. ამის შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს?

რუსმა ოკუპანტებმა აფხაზეთში, სოფელ წებელდაში, სამხედრო პოლიგონის მოსაწყობად ქართული მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრიეს და იქ არსებული საძვალეები ბულდოზერებით გადათხარეს.

როგორც ირკვევა, პოლიგონის ახლოს ისტორიულ-არქიტექტურული ნაკრძალი მდებარეობს, რომელსაც განადგურება ემუქრება.

2011 წელს სეპარატისტული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სოფელ წებელდას მიმდებარე ტერიტორია თავდაცვის სამინისტროს გადაეცა, რათა აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურს, სასაზღვრო სამმართველოსთან ერთად, სწავლებები ჩაეტარებინა. შემდეგ ტერიტორია მესაზღვრეებს გადასცეს და სამხედრო პოლიგონის მშენებლობა დაიწყეს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ოკუპანტებმა არა მე-19 საუკუნის, არამედ მე-11 საუკუნის ტაძარი დაანგრიეს.

– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში ოკუპანტებმა სამხედრო მიზნებისთვის ტაძარი დაანგრიეს და ქართველთა საძვალეები გაანადგურეს. რას ნიშნავს ეს? მართლმადიდებელი, როგორც ამბობენ ხოლმე, ერთმორწმუნე რუსეთი ასევე მართლმადიდებელ ქვეყნებს რატომ ებრძვის და ტაძრების დანგრევასაც კი რატომ არ ერიდება?

– ჩვენ ვგმობთ მომხდარს, მაგრამ ჯერ ვაზუსტებთ, რომელ ეკლესიაზეა საუბარი. წებელდაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამი ეკლესია იყო აღმოჩენილი, რომლებიც მე-11 საუკუნით თარიღდება.

– ინფორმაციაში წერია, რომ მე-19 საუკუნის ტაძარი იყო.

– ასე არ არის. XIX საუკუნის 80-იან წლებში აღმოაჩინეს, მაგრამ სამივე ტაძარი მე-11 საუკუნისაა. შესაძლებელია აღნიშნული მე-11 საუკუნის ტაძრები აგებული იყოს უფრო ადრეც. ამ ეკლესიებში არის 6 ქართული წარწერა. მე-11 საუკუნით დათარიღებული ქართული წარწერებია. ყოველგვარი ეჭვისა და გადაჭარბების გარეშე, ეს ეკლესიები სუფთა ქართული კულტურის ძეგლებია.

ეს ძეგლი საოკუპაციო ხელისუფლების მსხვერპლი გახდა. თუმცა, რუსეთისთვის ეს არაფერს ნიშნავს, როდესაც საქმე ეხება მის იმპერიალისტურ პოლიტიკას, საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას. რუსეთისთვის არასოდეს არაფერს ნიშნავდა არც მართლმადიდებლობა, არც – ქრისტიანული, მართლმადიდებლური ტაძარი. აფხაზეთში ქართული მართლმადიდებლური ტაძრის დანგრევა არის ნიმუში იმ პოლიტიკისა, რასაც რუსეთი ახორციელებს და განახორციელა 2017 წლის დასაწყისში.

– ნუთუ არ არის შესაძლებელი, რამენაირად მივაღწიოთ იმას, რომ რუსებმა ტაძრები არ დაგვინგრიონ?

– ქართული მხარე ყველაფერს აკეთებს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია ამ ვითარებაში. ცდილობს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლები გადაარჩინოს. აღნიშნული ტაძრები თვითონ სეპარატისტების მიერაც კულტურული ძეგლების სიაშია შეტანილი. მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და ისე დაანგრიეს, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია.

ქართული მხარე ამ საკითხს მუდმივად აყენებს ჟენევის შეხვედრებზე, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგრამ ოკუპანტი იმიტომ არის ოკუპანტი, რომ ყველაფერ ამას ყურადღება არ მიაქციოს.

ამ ფაქტს დიდი აღფრთოვანებით არც აფხაზური საზოგადოება შეხვედრია, რაც მაძლევს იმედს, რომ სხვა ტაძრები მაინც არ განადგურდება, რაღაც ნაწილი შენარჩუნდება. ბუნებრივია, თავს ამით ვერ დავიმშვიდებთ. ქართულმა მხარემ, როგორც იუნესკოში, ისე ჟენევის მოლაპარაკებებზე უნდა გააგრძელოს ამ თემის მუდმივი აქტუალიზაცია, რომ გადავარჩინოთ ქართული კულტურის ?ეგლები აფხაზეთში.

– აღნიშნული ძეგლი იუნესკოს ნუსხაში შედიოდა?

– არა, იუნესკოს ნუსხაში არ შედიოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არაფერს ნიშნავს. ქართული კულტურის ძეგლების ნუსხასა და აფხაზეთის კულტურის ძეგლების ნუსხაში, რომელიც ჩვენი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერაა შეტანილი, დაცვას ექვემდებარება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას კულტურის ძეგლები.

აღნიშნული ძეგლები არის მე-11 საუკუნის და არა გუშინდელი. მათ ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა. შემოკავებული იყო ტერიტორია, სასაფლაოები არსებობდა, მაგრამ თვითონ ეს ეკლესიები არის მე-11 საუკუნის ქართული კულტურის ძეგლები. ხაზგასმით ვამბობ, იქ არის ქართული წარწერები. ამიტომ ოკუპანტს მისი დაცვა არ ენაღვლება. პირიქით, ცდილობს, ქართული კულტურის ძეგლი გაანადგუროს.

– ფოტომასალის მიხედვით, ეკლესიის ადგილზე მხოლოდ ორმოა დარჩენილი. ჩვენი წინაპართა საძვალეებიც ბულდოზერითაა გადასწორებული. რით განსხვავდება რუსეთის ქმედება ისლამური ხალიფატის ტერორისტების ქმედებისგან, რომლებიც ყველაფერს ანადგურებენ?

– ბევრი არაფრით. კარგი შედარებაა. როგორც ისლამური ხალიფატის წარმომადგენლები ანადგურებენ კულტურის ძეგლებს, ზუსტად ასევე რუსეთი ანადგურებს ქართული კულტურის ძეგლებს. დიდი განსხვავება მათ შორის არ არის.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ისლამისტები ღიად აცხადებენ, ჩვენ ამას ვანადგურებთ, არ გვჭირდებაო. აქ, აფხაზეთში კი, რუსეთი ქურდულად, ბანდიტურად, ყაჩაღურად ანგრევს. რუსები თითქოს თავს დებენ ქრისტიანობაზე, მართლმადიდებლობაზე, სინამდვილეში კი კულტურის ძეგლებს ანადგურებენ.

◆ ◆ ◆

რაიონული კრების დეპუტატი გენადი შინკუბა აცხადებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ოკუპანტებმა 3 იანვარს დაანგრიეს. ამჟამად სამუშაოები შეჩერებულია. თუმცა, ტაძრისა და სასაფლაოების აღდგენა შეუძლებელია.

ჯემალ გამახარიას აზრით, აფხაზებს კულტურის ძეგლი ოკუპანტებისთვის არ უნდა გადაეცათ.

– ბატონო ჯემალ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და სასაფლაოების ტერიტორია აფხაზებმა რუსულ სამხედრო ნაწილს რომ გადასცეს, იმთავითვე გასაგები ხომ იყო, რომ სამხედროები მას არ დაიცავდნენ და ტერიტორიას თავისი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ?

– მართალია, აფხაზებს კულტურის ძეგლი ოკუპანტებისთვის არ უნდა გადაეცათ. თუმცა, აფხაზები რუსებს ოკუპანტებად არ მიიჩნევენ.

– აფხაზებს წინააღმდეგობა რომ გაეწიათ, დღეს მე-11 საუკუნის ძეგლი და წინაპართა საფლავები აღგვილი არ იქნებოდა პირისაგან მიწისა.

– რასაკვირველია, ეკლესიის ტერიტორია სამხედრო დანიშნულებისთვის არ უნდა გამოყენებულიყო. სეპარატისტულმა ხელისუფლებამ, რომელიც რუსული საოკუპაციო ხელისუფლების ნაწილია, დანაშაული ჩაიდინა. აფხაზური საზოგადოების აღშფოთება კი სეპარატისტული ხელისუფლების დამსახურება სულაც არ არის, უბრალო ადამიანების, ადგილობრივი მოსახლეობის დამსახურებაა.

მომხდარი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობა დე ფაქტო ხელისუფლებამ რუს ოკუპანტებთან ერთად უნდა გაიზიაროს. ისინი ერთად არიან დამნაშავე ქართული კულტურის ძეგლების განადგურებაში.

– ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ისინი მთლიანად მორჩილი არიან რუსული საოკუპაციო რეჟიმის?

– ზოგჯერ რაღაც დაპირისპირების გათამაშება ხდება, მაგრამ სინამდვილეში ისინი საოკუპაციო ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები არიან.

– რადგან განადგურებული ძეგლი აფხაზური არ იყო, იქ ქართული წარწერები არსებობდა, რაც ადასტურებდა ამ მიწის ძირძველი მეპატრონის ვინაობას, როგორც ჩანს, ამიტომ ხელისუფლებისთვის დაბრკოლება არ არსებობდა, მაგრამ როცა ღვთის სახლს ანგრევ, ეს ხომ უფლისგან ურეაქციოდ არ დარჩება? ამდენს მაინც არ ფიქრობენ?

– არც საოკუპაციო ხელისუფლება და არც ის ადამიანები, ვინც დანაშაული ჩაიდინეს, მორწმუნეები არ არიან. მათთან დაკავშირებით მორწმუნეობასა და ღმერთზე საუბარი დაუშვებელია. ისინი დამნაშავეები არიან. თქვენ მკითხეთ, მართლმადიდებლური სახელმწიფოს მხრიდან მართლმადიდებლური ტაძრის განადგურება როგორ ავხსნათო.

– ზოგიერთები მუდმივად აქცენტს აკეთებენ ერთმორწმუნეობაზე.

– რუსული ხელისუფლება მე-19 საუკუნეში ჯავახეთსა და აჭარაში (ჯავახეთში არსებობდა როგორც მუსლიმანური, ასევე კათოლიკური მოსახლეობა) მართლმადიდებლობაზე მოქცევას ხელს უშლიდა. მართლმადიდებლობის მიღება მაშინ გაქართველებას ნიშნავდა, ანუ, თუ ისინი მართლმადიდებლობაზე მოექცეოდნენ, გაქართველდებოდნენ, ქართველობა გაძლიერდებოდა. გაქართველება რომ არ დაეშვა, მართლმადიდებლური სახელმწიფო, რუსეთი, ხელს უშლიდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მისი ქვეშევრდომების მოქცევას.

ამის შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს? მით უფრო, რომ მაშინ ჯავახეთი, აჭარა რუსეთის ტერიტორიად ითვლებოდა. აფხაზეთში რუსეთი სუფთა წყლის ოკუპანტია და იცის, რომ დღეს თუ არა ხვალ, იქიდან წასვლა მოუწევს. ამიტომ მას არანაირად არ ანაღვლებს ქართული კულტურის ძეგლები.

– ეკლესიის დამოკიდებულება, ცხადია, უარყოფითი იქნება.

– რასაკვირველია, ქართული ეკლესიის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი მკვეთრად უარყოფითი იქნება.

– რუსული ეკლესია თითქოსდა აღიარებს აფხაზეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციას, წებელდაში ეკლესიის დანგრევაზე რეაქცია არ ექნება?

– ვნახოთ, რა რეაქცია ექნება რუსულ ეკლესიას. ალბათ, ქართული ეკლესია თავისი ხაზით სათანადო ზომებს მიიღებს.

თენგიზ ფხალაძე აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე პრეზიდენტის დავალებით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს საქართველოში კესტუტის იანკაუსკასს, მისიის პოლიტიკურ მრჩეველს გუეგოუ ჯაზოვსკის, მისიის ოპერაციების განყოფილების უფროსის მოადგილე ჰელენ კრიგერს და ევროპის საბჭოს მისიის ხელმძღვანელს საქართველოში კრისტიან ურსეს შეხვდა.

ფხალაძემ მათ აფხაზეთში ეკლესიისა და პოლონელთა სასაფლაოს განადგურების ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.

– ამის შესახებ უკვე იყო პრეზიდენტის განცხადება და ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი გახდეს საერთაშორისო მონიტორინგის ობიექტი და საერთაშორისო მონიტორებს ჰქონდეთ საშუალება, ადგილზე შეისწავლონ არსებული ვითარება.

ეს არ არის პირველი საგანგაშო სიგნალი, რომელსაც ვღებულობთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან და უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი მონიტორების უშუალო ჩართულობა, – განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

მისი თქმით, ევროსაბჭოს და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას დღესდღეობით საოკუპაციო ძალები არ აძლევენ საშუალებას, რომ ადგილზე ჩაატარონ მონიტორინგი, მაგრამ მათ შეუძლიათ გაგვიწიონ დახმარება იმისთვის, რომ ეს საკითხი ფართოდ იქნას განხილული საერთაშორისო თანამეგობრობაში.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

საქართველოს მთავრობამ გაზპრომთან კაპიტულაცია მოახდინა

რომან გოცირიძე: „ესაა მცოცავი ეკონომიკური ანექსია“

შორენა მარსაგიშვილი

ნაახალწლევ საქართველოს მშობლიურმა ხელისუფლებამ სიურპრიზი მოუწყო – თბილისი რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტის საფასურის გადახდის ფორმასთან დაკავშირებით გაზპრომექსპორტის მოთხოვნას დათანხმდა.

ოპოზიციამ და ექსპერტებმა ამ გადაწყვეტილებას კაპიტულანტური უწოდეს. ხელისუფლება კი ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს იქეთ დააბოლეს უმწიკვლო გაზპრომი.

გაზპრომთან ჩახუტების საკითხზე 11 იანვარს გამართულ მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს და გადაწყვიტეს, პუტინის ნებიერა გაზპრომთან ხელშეკრულება გააგრძელონ.

ქართული ენერგეტიკის მოქმედი მამის კახა კალაძის განმარტებით, საუბარია საქართველოს გავლით სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის საფასურზე.

– ამ ხელშეკრულებით საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის ენერგომატარებლებზე არ იზრდება. იცვლება მხოლოდ გადახდის ფორმა, რაც გულისხმობს ნედლეულით ანაზღაურების ნაცვლად, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ფულად ანაზღაურებაზე გადასვლას, – განმარტა კალაძემ.

მისი თქმით, საქართველოსთვის გადასახდელი ტრანზიტის საფასური იქნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ევროპის ქვეყნებს შორის.

– ასევე, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, სეზონური დეფიციტის დასაკმაყოფილებლად მივიღოთ ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობა შემცირებული ფასით. ხელშეკრულება არის მოკლევადიანი, ორი წლის ვადით, თუმცა პირველ წელს ნაწილობრივ ისევ რჩება ნედლეულით ანაზღაურების ფორმა, ხოლო შემდგომ გაგრძელდება ფულადი ანაზღაურებით ანგარიშსწორება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, – განაცხადა კალაძემ.

რა დათმობაზე წავა მომავალში თბილისი?

სემეკის ყოფილი თავმჯდომარე, „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლებამ საბოლოოდ აღიარა, რომ პუტინის დაქვემდებარებაშია.

– ამ ხელშეკრულებით საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ ისინი სრულად არიან დამოკიდებულები პუტინის ბრძანებებსა და ნებასურვილზე. კახი კალაძის განცხადება, თითქოს ეს არის საუკეთესო შემოთავაზება რუსეთის მხრიდან, არის ფარსი და ტყუილი. ბიძინა ივანიშვილის მიერ მართულმა ხელისუფლებამ აღნიშნული ნაბიჯი მისი უშუალო ხელმძღვანელის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე გადადგა, – განაცხადა ჩალაგაშვილმა.

„ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ხელისუფლების მიერ გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულება არის სახელმწიფოსა და მომავალი თაობების წინააღმდეგ გაფორმებული აქტი.

გურამ ჩალაგაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი არის გაზპრომის ყველაზე მსხვილი აქციონერი, საქართველოს მთავრობა კი ამ ხელშეკრულებით ცდილობს დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ პუტინს და მის რეჟიმს 2017 წლიდან განსაკუთრებით შეუყვარდა საქართველო და ქართული მოსახლეობა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი რომან გოცირიძე ამბობს, რომ ხელისუფლებამ რუსეთთან კაპიტულაციას მოაწერა ხელი.

მისი თქმით, გაზპრომთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში პირადი ინტერესებიც იკვეთება.

– ყველა არგუმენტი, რაც შარშან ჰქონდა მთავრობას გაზპრომთან დათმობაზე წასვლის გასამართლებლად, ამოწურულია. შაჰდენიზის საერთაშორისო კონსორციუმმა 500 მილიონი კუბური მეტრი გაზი გამოგვიყო დამატებით და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენშიც გატარების უფლება მოგვცა. მიუხედავად ამისა, მთავრობამ კაპიტულაცია მოახდინა.

აქ იკვეთება პირადი ინტერესებიც და ამას, ადრე თუ გვიან, ფარდა აეხდება. რუსეთის შემდგომი სამიზნე თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემა იქნება, რომელიც ყაზტრანსგაზის საკუთრებაშია. ამის შემდეგ კი რკინიგზა. ესაა მცოცავი ეკონომიკური ანექსია, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

◆ ◆ ◆

გავრცელებული ინფორმაციით, მომდევნო ხელშეკრულებას თბილისი მოსკოვთან აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებაზე გააფორმებს.

სომხური პრესა ამტკიცებს, რომ ამ თემაზე მოლაპარაკებები აქტიურად მიმდინარეობს.

მთავრობამ სესხების ლარიზაციის პროგრამა დაამტკიცა

საქართველოს მთავრობამ სესხების ლარიზაციის პროგრამა დაამტკიცა.

როგორც პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველოს მთავრობას უნდა დაედგინა წესი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ერთჯერადი გალარების სუბსიდირება.

– შესაბამისად, დღეს ჩვენ საქართველოს მთავრობას წარვუდგინეთ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს მთავრობა მოახდენს სესხების გალარების სუბსიდირებას, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ფინანსთა მინისტრმა რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი დაასახელა.

– აღნიშნული შეეხება ფიზიკურ პირებს, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 100 ათას ლარს, 2015 წლის განმავლობაში. ამავე დროს მათი მთლიანი სესხის ნაშთი არ იყო 40 ათას დოლარზე მეტი 2015 წლის 1 იანვრისთვის. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მათ 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 28 ნოემბრამდე სესხი დაფარეს, 2016 წლის 28 ნოემბრისთვის

არსებული ნაშთის სუბსიდიას განახორციელებს მთავრობა.

შესაძლებელია, მსესხებელს ჰქონდეს მეტი სესხი, თუმცა იმ ნაწილზე საქართველოს მთავრობა სუბსიდირებას არ განახორციელებს და ეს იქნება მსესხებლის გადაწყვეტილება, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნულით ეროვნულ ვალუტაზე ზეწოლა შემცირდება იმიტომ, რომ მსესხებლებს, რომლებსაც ყოველთვიურად უწევდათ ვალუტის შეძენა მათი შემოსავლების კვალდაკვალ სესხის დასაფარავად, ამის გაკეთება არ მოუწევთ.

– ეროვნული ბანკი პირდაპირ მიაწვდის გალარებისთვის საჭირო ვალუტას კომერციულ ბანკებს და ასევე მიაწვდის უკვე კომერციულ ბანკებს ლარის საჭირო რესურსს. სტატისტიკურად, 33 ათას სესხს შეიძლება შეეხოს ეს ყველაფერი,

მსესხებლების რაოდენობა დაზუსტდება მას შემდეგ, რაც გადამოწმებული იქნება უკვე კონკრეტულ მსესხებლებზე შემოსავლების რაოდენობა და ასევე მომართვიანობის რაოდენობა.

საბოლოო ჯამში, აღნიშნულის მიზანი არის ის, რომ მაქსიმალურად შევამცეროთ დამოკიდებულება ვალუტის რყევებთან მიმართებაში ჩვენი მოსახლეობის სესხების მომსახურების ნაწილში, რაც საბოლოოდ გამოიწვევს იმას, რომ ჩვენს მოსახლეობას აღარ გაეზრდება და აღარც შეუმცირდება ის ყოველთვიური გადასახადი, რომელსაც ისინი იხდიდნენ სესხის ძირის და პროცენტის მომსახურებაში იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის რყევა იქნებოდა, – აღნიშნა ქუმსიშვილმა.

ბიბიენი

საქართველომ და ინდოეთმა საჰაერო მიმოსვლაზე მემორანდუმი გააფორმეს

2017 წლის 9-11 იანვარს საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის „საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების“ ტექსტზე მოლაპარაკებები გაიმართა.

მოლაპარაკებების დასრულების შემდგომ მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ქართულ მხარეს ინდოეთის უმსხვილეს საერთაშორისო აეროპორტებში რეგულარული ფრენების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: დელი, მუმბაი, გოა, ჩენაი, ჰაიდერაბადი და ბენგალურუ.

აღნიშნულ მომენტამდე რეგულარული ფრენების განხორციელება მხოლოდ დელის მიმართულებით იყო შესაძლებელი.

მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საწყის ეტაპზე თითოეული მხრიდან კვირაში 21 სიხშირით ფრენაზე, აქამდე მოქმედი მემორანდუმის შესაბამისად ქვეყნებს შორის ფრენების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ 4 სიხშირით.

◆ ◆ ◆

აღნიშნულ მოლაპარაკებებს წინ უძღოდა 2016 წლის 10 ნოემბერს ინდოეთის სამოქალაქო ავიაციის მინისტრ გაჯაპათ რაჯუს სამუშაო ვიზიტი საქართველოში.

ვიზიტის ფარგლებში სამოქალაქო ავიაციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა და ინდოეთის რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა.

მემორანდუმში ყურადღება გამახვილდა მხარეებს შორის საჰაერო მიმოსვლის განვითარების კუთხით სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებასა და ორმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმების გაფორმების მნიშვნელობაზე.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეთანხმების ტექსტზე მოლაპარაკების გამართვა უახლოეს პერიოდში დაიწყებოდა.

მხარეებს შორის ორმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმების უახლოეს მომავალში გაფორმება სამართლებრივ საფუძველს შექმნის საქართველოსა და ინდოეთს შორის პირდაპირი ავიაფრენების დასაწყებად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის განვითარებას, ასევე თანამშრომლობის გაღრმავებას ვაჭრობის, ინვესტიციებისა და სხვა მიმართულებით.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით ინდოეთის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრა ტურისტულ კომპანიებთან.

კომერსანტ-გე

კომერციული ბანკები გალარების პროგრამაში მოხვედრილ კლიენტებს მესიჯს გაუგზავნიან

კომერციული ბანკები გალარების პროგრამაში მოხვედრილი კლიენტების ინფორმირებას ძირითადად მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მოახდენენ.

როგორც „კომერსანტს“ რამდენიმე ბანკში განუცხადეს, აქტიური საინფორმაციო კამპანია უახლოეს დღეებში დაიწყება.

– სესხების გალარების პროგრამაში მოხვედრილ კლიენტებს ჩვენ მესიჯს გავუგზავნით. შემდგომ ისინი გადაწყვეტენ, სურთ თუ არა პროგრამაში ჩართვა და დოლარში აღებული სესხის ლარში გადაყვანა. რაც შეეხება რაოდენობას, გალარება დაახლოებით 10.000-მდე სესხს შეეხება, – განუცხადეს „კომერსანტს“ თიბისი ბანკში.

მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს გაუგზავნის გალარების პროგრამაში მოხვედრილ მსესხებლებს ვითიბი ბანკიც. ამასთან, მსესხებლების ინფორმირებასთან დაკავშირებით ბანკი ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე და ფეისბუქზე გამოაქვეყნებს.

როგორც „კომერსანტს“ ვითიბი ბანკში განუცხადეს, გალარება ბანკის მიერ გაცემულ 1.300-მდე სესხს შეეხება.

კომერსანტ-გე

მსოფლიო ბანკმა საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 5,2%-მდე გაზარდა

THE WORLD BANK

მსოფლიო ბანკი საქართველოში ეკონომიკის ზრდის დაჩქარებას წელს 5,2%-მდე ელის.

ახალ ანგარიშში საქართველოსთვის პროგნოზი გაუმჯობესებულია წინა შეფასებასთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით.

2018 წელს მშპ-ს ზრდა 5,3%-ის ნიშნულზე, 2019 წელს კი, 5%-ზეა ნავარაუდევი.

წინა ანგარიშში მსოფლიო ბანკის პროგნოზი 2017 წლისთვის იყო 4,5%, 2018 წლისთვის კი – 5%.

საქართველოს მთავრობა კი 2017 წლისთვის 4%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. 2018-2019 წლების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.5%-ია, ხოლო 2020 წლის – 5.5%.

შალვა ხაჭაპურიძე: „ჩვენ ვიცით, პროსტიტუციის ბიზნესს ვინ მფარველობს“

„პრემიერის ადგილზე ვიტყოდი, რომ ამ ტიპის დანაშაულზე ნულოვანი ტოლერანტობა უნდა იყოს“

ნონა ცაბაძე

რა ხდება რესპუბლიკის მოედანზე? ყვავის თუ არა იქ პროსტიტუცია? რატომ იმატა ქუჩის კრიმინალმა? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** პასუხობს.

– ბატონო შალვა, აღნიშნულ თემაზე თქვენ არაერთხელ გაგიკეთებიათ აქცენტი. პრემიერმაც განაცხადა, რომ იქ ყვავის პროსტიტუცია და არც ერთი ქართველი მამაკაცი ამას არ მოითმენს. რა ხდება?

– იმას, რაც თქვა პრემიერმა, მე ვაცხადებდი 9 წელიწადი და ხმამაღლა მოვუწოდებდი ხელისუფლებას, რომ ამასთან დაკავშირებით გატარებულიყო ღონისძიებები. გარდა რესპუბლიკის მოედნისა, მსგავსი დაწესებულება მარჯანიშვილის მოედანზეც არის. იქ არ უშვებენ ქართველ მამაკაცებს.

– უცხოელების ბიზნესია და ქართველ კაცებს არ უშვებენ?

– დიახ. ეს ძირითადად თურქების ბიზნესია, თუმცა იქ შესვლის უფლება აქვთ თურქებს, არაბებს და მუსლიმანური სახელმწიფოების წარმომადგენლებს. იქ ისეთი სიტუაციაა, რომ მსგავსი რამ არსად მინახავს, უცხოეთშიც ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი არსად არაფერი მინახავს.

– ასეთი რა ხდება?

– ერთ მხარეს განლაგებულები არიან ქართველი ქალები, მეორე მხარეს – მუსლიმანური წარმოშობის მამაკაცები და მიდის პირდაპირი ვაჭრობა. ისეთი უბედურება ხდება როგორც შენობის შიგნით, ისე შენობის წინ, რომ, რა გითხრათ. რამდენიმე წლის წინ გარკვეული ჯგუფი შევიკრიბეთ, მცდელობაც გვქონდა, ეს ყველაფერი გადაგვეღო.

– მოძრაობა ეროვნულების მიერ წამოწყებულ კამპანიას გულისხმობთ?

– დიახ და მთელი დაპირისპირება მოგვიხდა ამ ჯგუფებთან. მაშინ დადიოდა ხმები, რომ ამ ბიზნესს ნაციონალები მფარველობენ და ვერავინ შეეხებაო. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ძველი ხელისუფლებიდან შემორჩენილი კადრები ამ ბიზნესს ხელს აფარებენ. სხვანაირად წარმოუდგენელია, ქალაქის ცენტრში ასეთი რამ ხდებოდეს.

– რატომ მაინცდამაინც ძველი ხელისუფლების? იქნება ახალი ხელისუფლება მფარველობს? ძველებს სადღა აქვთ ძალაუფლება?

– კარგით რა, რა ძალაუფლება არა აქვთ! ძალოვან სტრუქტურებში ყველამ კარგად ვიცით, რა მდგომარეობაც არის. ძირითადად ისევ ძველი კადრები არიან.

– ანუ ძირითადად ძალოვანი სტრუქტურებიდან მფარველობენ?

– რა თქმა უნდა, აბა ამას სხვა ვინ უმფარველებს? მე მეეჭვება, ეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იყოს. მე ვერც კი წარმომიდგენია, ჩვეულებრივმა მეწარმემ გააკეთოს ის, რასაც ესენი აკეთებენ და ან პოლიციელმა არ შეიხედოს, ან პროკურორმა, ეს ხომ არ ხდება სადღაც პერიფერიაში. ქალაქის შუაგულში ხდება! ამნაირი წერტილები სხვაგანაც არის.

– კონკრეტულად?

– ამერიკის საელჩოს მოპირდაპირე მხარეს არის ერთი ასეთი დაწესებულება, ამერიკის საელჩოს უკანა მხარესაც. მაშინ ჩვენ აღრიცხვა ჩავატარეთ და მაშინდელ შს მინისტრს და პროკურორს მივწერეთ. კონკრეტულ მისამართებს ვუსახელებდით, მაგრამ ამაზე რეაგირება არ მოხდა.

– საუბარია, რომ მსგავს დაწესებულებებში ხშირად შეხვდებით არასრულწლოვან გოგონებს. ასეა?

– სამწუხაროდ, ასეა. ძირითადად იქ არიან რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდობა. ამ გოგონების სიაც კი გვქონდა ჩვენ, სახელებით და გვარებით. კი, ეს ბიზნესი სხვა ქვეყნებშიც არსებობს, მაგრამ ასეთი ბაკქანალია არსად ხდება. ამასთან დაკავშირებით ძალიან ხშირია კონფლიქტები, ცემა-ტყეპა.

– კონფლიქტები რასთან დაკავშირებით ხდება?

– ვთქვათ, ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი მივიდა, მას შიგნით არაფრის დიდებით არ უშვებენ. ამას მოჰყვება დაცვის თანამშრომლების მხრიდან ამ ბიჭების ცემა. მანქანითაც რომ ჩამოიაროთ, შესამჩნევია, რომ ყოველ საღამოს არის იქ ბათქა-ბუთქი და თავპირის მტვრევა. პირადად შევესწარი, დაცვის თანამშრომლებმა როგორ სცემეს ახალგაზრდა ბიჭს. თავპირი დაუსისხლიანეს. მე და ჩემი ადვოკატი მოვდიოდით პროკურატურიდან და შევესწარით ამ ამბავს, გავაჩერეთ ავტომანქანა, გადავედით. ეს ბიჭი სულ მთლად დასისხლიანებული იყო და ჩვენ წამოვიყვანეთ.

– სად იყო ამ დროს პატრული?

– პატრული მოვიდა, გაჩერდა რამდენიმე წუთით, ჩვეულებრივი ქუჩის ჩხები იყოო და წავიდა. ამაზე არანაირი სერიოზული რეაგირება არ მომხდარა.

ეს არის დანაშაულის ბუდე. სისხლის სამართლის კოდექსში ეს პირდაპირ არის დასჯადი ქმედება, თუმცა ამის გამო არავინ ისჯება. ძალიან კარგია, რომ პრემიერმა ამაზე საუბარი დაიწყო. შეიძლება ეს ვიღაცას არ მოეწონა, მაგრამ კარგია.

– დიახ, ამას უკვე მოჰყვა სერიოზული კრიტიკა, პრემიერი ამ საკითხზე განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს, ამით საკუთარი თავის დისკრედიტაციას ახდენსო. რატომ მოჰყვა კვირიკაშვილის განცხადებას მსგავსი შეფასებები?

– პრემიერს ვურჩევდი ერთ რამეს – ყველა მსოფლიო ლიდერს, ვინც ისტორიაში შევიდა და ვინც თავისი სახელმწიფოები დიდი ნაბიჯებით ატარა წინ, კრიტიკოსი ჰყავდა. ისინი ყურს უგდებდნენ კრიტიკას, რაც საჭირო იყო, იზიარებდნენ და რაც უკეთესი იყო ქვეყნისთვის და ხალხისთვის, იმას აკეთებდნენ.

– ანუ თქვენ არ აკრიტიკებთ პრემიერს?

– რა თქმა უნდა, არა! პირიქით, მე მოვუწოდებ მას, რომ ბევრ საკითხში იმოქმედოს რადიკალურად. გადადგას უფრო გაბედული და მხნე ნაბიჯები. აბა ის არის მოსაწონი, დავით აღმაშენებლის ძეგლი მოხსნეს, გადაიტანეს სადღაც და იმ ადგილის ქვეშ სოდომი და გომორი ტრიალებს ქვედა სართულებზე! დიახ, უნდა გაარკვიონ სამართალდამცავებმა, ქალაქის ცენტრში რაც ხდება, ეს არ უნდა გაარკვიონ? ამით პრემიერი არ უნდა დაინტერესდეს?! თუ რა უნდათ კრიტიკოსებს?!

– ძალიან მძიმე სიტუაციაა და პრემიერსაც ამიტომ დასჭირდა ასე საჯარო განცხადებების კეთება?

– რა თქმა უნდა, მძიმეა! ეს მძიმე ვითარება წლებია გრძელდება. გვარებს ასახელებდნენ პირდაპირ, ვინც იყო მაგათი მფარველი. ჩვენ ეს გვარებიც გვაქვს, უბრალოდ, დღეს თავს შევიკავებ დასახელებისგან. ოფიციალური ბორდელებია გახსნილი და ვიღაცას ეს კაფე და რესტორანი ჰგონია?! აქ უამრავი არასრულწლოვანი გოგონაა! არის ძალადობები და გაუპატიურების უამრავი ფაქტი. ამაზე თუ არ გააკეთა პრემიერმა რეაგირება, აბა რაღაზე უნდა გააკეთოს?!

– კიდევ რაზე ითხოვთ მკაცრ რეაგირებას?

– იმაზე, რომ კრიმინალმა იმატა! მე სადაც ვცხოვრობ, იმ უბანში ღამე არ გათენდება, რომ მანქანა დაზიანებული არ დახვდეს ადამიანს და სარკეები მოტეხილი. ამაზე თავის დროზე სააკაშვილის რეაგირება გახსოვთ თქვენ.

– ანუ ქუჩის კრიმინალმა იმატა?

– დიახ და სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრა ხელისუფლების და პროკურატურის ფუნქციაა. როდესაც ხედავ, რომ რაღაც დანაშაული მატულობს, მაშინ უნდა იმოქმედო, გამოხვიდე, განცხადებაც გააკეთო და კონკრეტული ზომებიც მიიღო. პრემიერის ადგილზე ვიტყოდი, რომ ამ ტიპის დანაშაულზე ნულოვანი ტოლერანტობა უნდა იყოს! მერე რა, რომ ეს პირველად სააკაშვილმა თქვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ აუცილებლობა იქნება, შენ არ გაიმეორო.

– ნულოვან ტოლერანტობასთან ცუდი მოგონება აკავშირებს ჩვენს საზოგადოებას.

– ნულოვანი ტოლერანტობა იმას კი არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ქუჩაში დახოცო ხალხი. აი, ასეთი ტიპის დანაშაულებზეა საჭირო ნულოვანი ტოლერანტობა. თუნდაც ავტოავარიები ავიღოთ. რამდენი ადამიანი იღუპება მძღოლების დაუდევრობით, ხომ შეიძლება კანონის გამკაცრება, უფრო დიდი სასჯელები?!

ერთი ძალიან ცუდი ავტოავარიის შემთხვევა მაქვს წარმოებაში. 18 წლის ბავშვს, თავისუფალი უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტს, ზებრა გადასასვლელზე დაეჯახა მანქანა და სიცოცხლეს გამოასალმა. დანაშაულის ჩამდენი 20 წლის ახალგაზრდაა. ამ ყველაფერზე სასჯელია 4-დან 7 წლამდე. ხოლო 2 ტაბლეტი სუბოტექსი რომ უპოვეს ადამიანს, მინიმალური სასჯელი იწყება 8 წლიდან. ამაზე ან პარლამენტმა იფიქროს, ან შესაბამისმა სამინისტროებმა. ადეკვატური სასჯელი ხომ უნდა იყოს?! აიღეთ სტატისტიკა, რამდენი ადამიანი იღუპება ავარიით საქართველოში!

„ხელების და ფეხების დამტვრევით დამემუქრნენ“

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამართალდამცავთა მუქარაზე საუბრობს

ერთ-ერთი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამართალდამცველების მხრიდან უკანონო დაკავებაზე საუბრობს.

„გირო კრედიტის“ ხელმძღვანელი გიორგი გუგუმბერიძე აცხადებს, რომ პოლიცია მას ანგარიშსწორებით დაემუქრა.

– ხელების და ფეხების დამტვრევით დამემუქრნენ, გამომიცხადეს, რომ ვარ დაკავებული, – განაცხადა გუგუმბერიძემ სპეციალურ ბრიფინგზე, რომელიც „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ოფისში გაიმართა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიორგი მშვენიერაძის განცხადებით, გიორგი გუგუმბერიძისგან პოლიცია ითხოვდა ვიდეოჩანაწერების მიწოდებას სასამართლო ბრძანებისა და პროკურორის დადგენილების გარეშე, გუგუმბერიძის უარის შემდეგ კი ის საკუთარ სახლში ადმინისტრაციული წესით დააკავეს, წაიყვანეს პოლიციაში და, როგორც თავად აცხადებს, პოლიციის უფროსმა საკუთარ კაბინეტში მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ნიუპოსტი

ვანის რაიონში ძმამ საკუთარი ძმა მშობლების თვალწინ მოკლა

ვანის რაიონის სოფელ ყუმურში ძმამ საკუთარი ძმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სანადირო თოფით, მშობლების თვალწინ მოკლა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1998 წელს დაბადებული გ.გ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა თავის ძმას, 1992 წელს დაბადებულ კ. გ.-ს და მიიმალა.

დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა – 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სამტრედიაში 40 წლამდე შშმ მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს

სამტრედიაში 40 წლამდე მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს.

როგორც „ნიუპოსტს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, დაჭრილი შეზღუდული შესაძლებლობის პირია. ის ეტლით გადაადგილდებოდა. შემთხვევა 10 იანვარს მოხდა.

ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ცხელ კვალზე დააკავეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 (განზრახ მკვლელობის მცდელობის) მუხლით მიმდინარეობს.

შსს-მ ისრაელის მოქალაქე დააკავა



სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის შეძენა-შენახვის ბრალდებით ისრაელის რესპუბლიკის მოქალაქე თბილისში დააკავეს.

როგორც ნიუპოსტს უწყებიდან აცნობეს, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 104 აბი ამოიღეს.

– შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, ისრაელის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ც. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 104 აბი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, მ.ც.-ს მარიხუანის და ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), – აცხადებენ შსს-ში.

ტანსაცმელში მალულად ჩაკერებული ჰეროინის ციხეში შეტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის აკრძალული საგნის, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

დაკავებულია მოქალაქე ნ.ჭ., რომელიც №2 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის ს.შ.-სთვის ამანათის შეგზავნის მიზნით დაწესებულების საამანათო განყოფილებაში მივიდა.

შესაბამისი შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მის მიერ წარდგენილ ს.შ.-სთვის განკუთვნილ ტანსაცმელში მალულად იყო ჩაკერებული ვერცხლისფერ ქაღალდში შეხვეული ორი ცალი პოლიეთილენის პაკეტი, რომლებშიც მოთავსებული იყო 0.046141 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. ნ.ჭ. ადგილზე დააკავეს.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 19-378-ე პირველი პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ობამა: „რუსეთი ჩვენი მოწინააღმდეგეა“

ჩიკაგოდან ბარაქ ობამამ პრეზიდენტის რანგში ამერიკელებს უკანასკნელად მიმართა. მან დაწვრილებით ისაუბრა იმ მიღწევებზე, რასაც მისი რვაწლიანი მმართველობისას ჰქონდა ადგილი – აშშ-ში უმუშევრობა შემცირდა, საშუალო ხელფასი კი გაიზარდა.

– იმედი მაქვს, რომ ახალი ადმინისტრაცია ჩემს ხაზს გააგრძელებს და აშშ-ში ეკონომიკური აღმავლობა გაგრძელდება! – თქვა ობამამ.

პრეზიდენტმა საერთაშორისო პოლიტიკაზეც ისაუბრა. მან ყურადღება ორ ფაქტორზე, ისლამისტ ტერორისტებსა და რუსეთზე გაამახვილა.

– ისლამისტი ექსტრემისტები დღეს დემოკრატიისთვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენენ! – თქვა ობამამ.

პრეზიდენტმა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებიც დაწვრილებით გააშუქა. მან თქვა, რომ დემოკრატიის მშენებლობა რუსეთში მარცხით დასრულდა. შედეგად იმპერიულ-რევანშისტული იდეოლოგია აღორძინდა. ამას აგრესიული საგარეო პოლიტიკა მოჰყვა. მოსკოვიც დემოკრატიულ სამყაროს დაუპირისპირდა.

– რუსეთი ჩვენი მოწინააღმდეგეა! – განაცხადა ობამამ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკა რჩება ზესახელმწიფოდ, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების სადარაჯოზე დგას. ობამამ ამერიკის მომავალ ხელისუფლებას მოუწოდა, აღნიშნული კურსი განაგრძოს.

– კომპრომისები, რაც რუსეთის მეზობელი ქვეყნების ხარჯზე უნდა მოხდეს, ამერიკისთვის დამღუპველია! – ამბობს ობამა.

ამასობაში ჯონ მაკეინმა და მისმა კოლეგებმა რესპუბლიკური პარტიიდან სენატში ახალი კანონპროექტი წარადგინეს. ის რუსების ჰაკერული შეტევების გამო სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს.

მაკეინისა და მისი თანამოაზრეების პოზიციას აშშ-ის სახელმწიფო მდივნობის კანდიდატი რექს ტილერსონიც ეთანხმება. თავის ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ჰაკერების მოქმედების გამო მოსკოვი უნდა დაისაჯოს.

– რუსეთი ამერიკისთვის საფრთხეს წარმოადგენს! ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, – თქვა ტილერსონმა.

ამერიკელი სენატორების ინიციატივას კრემლის მწვავე რეაქცია მოჰყვა. პუტინის თანაშემწე პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები გამოუვალი ჩიხისკენ მიექანება.

– თუკი ასე გაგრძელდა, ჩვენს ქვეყნებს შორის ნებისმიერი დათბობა შეუძლებელი გახდება, – თვლის პესკოვი.

გფბ: რუსებს ტრამპზე კომპრომატი აქვთ

გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) დირექტორ კომის ცნობით, რუსებმა წამყვან ამერიკელ პოლიტიკოსებზე კომპრომატები შეაგროვეს. ეს თანაბრად შეეხება როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტიების ლიდერებს.

– ჯერჯერობით მათ მხოლოდ ჰილარი კლინტონზე შეგროვილი მამხილებელი მასალები გაასაჯაროვეს! ეს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებისას მოხდა, – თქვა კომიმ.

გფბ-ს დირექტორმა ხაზი გაუსვა, რომ რუსებს მასალები დონალდ ტრამპის შესახებაც აქვთ.

– როცა პუტინი ჩათვლის, რომ ტრამპი მისთვის მიუღებელი ფიგურა გახდა, ამ მასალებსაც გაასაჯაროვებენ, – განაცხადა კომიმ.

ტერაქტი ქაბულში

ავღანეთის დედაქალაქში მორიგი ტერაქტი მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში ტერორისტმა-შაჰიდმა მოიყვანა. შედეგად 30 ადამიანი დაიღუპა.

დაღუპულთა შორის როგორც უბრალო მოქალაქეები, ასევე დეპუტატები და ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებიც არიან.

კანადას ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრად ხრისტია ფრილანდი დაინიშნა. ის წარმოშობით უკრაინელია.

– ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა უკრაინასა და კანადას შორის კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობები დამყარდეს, – განაცხადა ფრილანდმა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ პუტინ-ტრამპს შორის შეთანხმების და გავლენის სფეროების გაყოფისა არ სჯერა.

– ახლა 21-ე საუკუნეა! რა გავლენის სფეროებზე მელაპარაკებით! ამას გარდა, ეს ტრამპმა კიდეც რომ მოინდომოს, ამის საშუალებას კონგრესი არ მისცემს, – თვლის ფრილანდი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ობამას შვილები თეთრ სახლში ცხოვრებით უკმაყოფილონი არიან

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ისაუბრა მისი შვილების უკმაყოფილებაზე თეთრი სახლის საიდუმლო სამსახურის მუშაობის გამო. ამის შესახებ პოლიტიკოსმა ერთ-ერთ ამერიკულ ტელეარხთან ინტერვიუში ისაუბრა.

პრეზიდენტის თქმით, მალია და საშა, მას შემდეგ, რაც მოზარდის ასაკს მიაღწიეს, თავს უხერხულად გრძნობდნენ საიდუმლო სამსახურის თანამშრომლების მხრიდან გამუდმებული თვალთვალის გამო.

– როდესაც მოზარდი ხართ და როდესაც თქვენ რამდენიმე ადამიანი დაგდევთ იარაღითა და გადამცემებით შეიარაღებული, ეს თქვენზე ზეწოლას ახდენს. თუმცა, გოგონებმა შეძლეს ამ ყოველივესთვის გაეძლოთ და დიდი გაგებით მოკიდებოდნენ, – განაცხადა ობამამ. ასევე მან მადლობა გადაუხადა თავის მეუღლეს მისი წვლილისთვის ბავშვების აღზრდის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ მალია 10 წლის იყო, ხოლო საშა შვიდის, როდესაც ბარაკ ობამა ამერიკის პრეზიდენტი გახდა და ოჯახთან ერთად თეთრ სახლში გადავიდა საცხოვრებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

პაკისტანელმა თავით 43 ქოქოსი დაამტვრია

პაკისტანელმა სპორტსმენმა რაშიდ ნასიმმა ახალი რეკორდი დაამყარა, მან 60 წამში თავით 43 მწვანე ქოქოსი დაამტვრია.

იმისთვის, რომ ასეთი შედეგისთვის მიეღწია 30 წლის ყარაჩის მცხოვრები ექვსი თვის მანძილზე ვარჯიშობდა. მართალია ის საბრძოლო ხელოვნებითაა დაკავებული, მაგრამ რეკორდისთვის მზადების პერიოდში ტრავმების თავიდან აცილება ვერ შეძლო.

ეს არ იყო რაშიდი ნასიმის მიერ დამყარებული პირველი რეკორდი. დაახლოებით ერთი წლის წინ, მან 60 წამში თავით 210 კაკალი დაამტვრია.

– ხუთჯერ შევეცადე მოვხვედრიყავი გინესის რეკორდების წიგნში, – განაცხადა ნასიმმა, – ჩემი მიზანია 50 რეკორდის დამყარება, რათა ქვეყანამ ჩემით იამაყოს.

უკანასკნელი ათასწლოვანი სექვოია წაიქცა

გიგანტური სექვოია, რომელში გვირაბი იყო გაჭრილი და რომელიც ამერიკის კალიფორნიის შტატში იზრდებოდა, ძლიერი ქარიშხლისა და წყალდიდობის დროს წაიქცა.

წაქცეული მცენარე ერთ-ერთ უმთავრეს ღირსშესანიშნაობად ითვლებოდა კალავერასის დიდი ხეების პარკში. სპეციალისტების შეფასებით, სახელგანთქმული ხის ასაკი მინიმუმ ათას წელს შეადგენდა. ძირთან მისი სიგანე 10 მეტრს აღწევდა.

1880 წელს სექვოიაში გაჭრეს გვირაბი, რომელშიც ცხენშებმულ ეტლებს შეეძლოთ გავლა, მოგვიანებით კი ავტომობილებსაც. ბოლო წლებში ხის გვირაბში გავლის უფლებას მხოლოდ ფეხით მოსიარულეებს აძლევდნენ.

ფეისბუქში გამოქვეყნებული ფოტოსურათი მოწმობს, რომ ათასწლოვანი ხე ძირში დასკდა, დაიყო და წაიქცა.

აშშ-ში ყველაზე გრძელი ნაყინი დაამზადეს

ამერიკულმა კომპანიამ, რომელიც მიჩიგანის შტატის დასახლება ნეშვილში მდებარეობს, ყველაზე გრძელი სანდეი (ნაყინის დესერტი) დაამზადა და გინესების რეკორდების წიგნში მოხვდა.

სარეკორდო დესერტის სიგრძემ 1110 მეტრი შეადგინა. მის დამზადებაზე დაიხარჯა 3200 ლიტრზე მეტი ნაყინი, დაახლოებით 360 ლიტრი შოკოლადის სიროფი, 172 ქილა ნაღები და 7200 ალუბლის ნაყოფი, ამტკიცებს ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა. დესერტს დღენახევრის განმავლობაში 250 მოხალისე ამზადებდა.

სამი თვით ადრე ყველაზე გრძელი ნაყინი მეზობელ ქალაქ ლუდინგტონში დაამზადეს. მაშინ ნაყინის სიგრძემ 910 მეტრი შეადგინა და ვინაიდან ნეშვილის ნაყინმა კონკურენტს აჯობა, გინესის რეკორდების წიგნში მხოლოდ ეს მიღწევა დაფიქსირდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე!სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ფაჩულია და გოლდენ სტეიტი დამაჯერებლად ლიდერობენ

2017 წელს გოლდენ სტეიტმა და ზაზა ფაჩულიამ მე-5 მატჩი ჩაატარეს. წინა 4 მატჩში ქართველმა ცენტრმა 10-ქულიან ზღვარს უწია, ხოლო მაიამისთან ეს ტრადიცია დაარღვია. თუმცა, ქართველმა ცენტრმა ჩვეული შემართებით ითამაშა და ოკლენდელთა მორიგ გამარჯვებაში საკუთარი, მნიშვნელოვანი წილი დაიდო.

ზაზას ნბა-ს უბობოქრესი ცენტრის, ჰასან უაითსაიდის ოპონენტობა უწევდა. მაიამელთა ცენტრმა მთლიანობაში ფაჩულიაზე 13 წუთით მეტხანს ითამაშა და მატჩის საუკეთესო სტატისტიკაც (28 ქულა, 20 მოხსნა) დააფიქსირა, თუმცა ქართველი როცა მოედანზე იყო, უაითსაიდი თავს თავისუფლად ვერ გრძნობდა და ეს უპირველესად მატჩის დასკვნით წუთებზე ითქმის, როცა შეხვედრის ბედი გადაწყდა და ამაში ფაჩულიას როლი დიდია.

გოლდენ სტეიტმა ამ მატჩში კლეი ტომპსონი დაასვენა და, სავარაუდოდ, ეს იყო მიზეზი, რომ ლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ლიდერს მისსავე მოედანზე ბრძოლა გაუმართა. ფლორიდელები ოკლენდში თამამად თამაშობდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში არ გატყდნენ.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა 1 ქულით წააგეს, ხოლო მესამე მეოთხედში იძალეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 11 ქულით დაწინაურდნენ. ჰასან უაითსაიდმა მეოთხე 12-წუთეულის დაწყებისთანავე დიდად გაილაღა და მისი ფარზე დომინირებით მაიამიმ საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა – 82:85.

სწორედ ამ დროს გამოვიდა მოედანზე ზაზა ფაჩულია, რომელიც თამაშში მანამდე 9 წუთი არ იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ ფაჩულიას სეზონის დაწყებიდან ბოლო წუთებზე მოედანზე ყოფნა თითქმის არ უწევდა. მწვრთნელს ის ბოლო პერიოდში თამაშში იშვიათად შეჰყავდა, ისიც მეოთხედის დასაწყისში. ბოლო მატჩებში კი ეს ვითარება შეიცვალა – ფაჩულიას გადამწყვეტ წუთებში და, ოვერტაიმშიც კი მოედანზე ყოფნა უწევს და ზაზაც ამართლებს.

85:82 ანგარიშზე ფაჩულიას თამაშში ჩართვის შემდეგ ჰასან უაითსაიდმა დარჩენილ 6 წუთში მხოლოდ 2 ქულა მიითვალა, გოლდენ სტეიტმა კი გაქცევა მოაწყო და ჯერ 96:85 დაწინაურდა, ხოლო ბოლოსწინა წუთზე, როცა ფაჩულიამ ბურთი ჩაჭრა და სტეფ კარის ზუსტ გარღვევას დაუდო სათავე, მატჩის ბედი გადაწყდა – მასპინძლები 11 ქულით დაწინაურდნენ და სეზონის 33-ე გამარჯვება გაიფორმეს.

ზაზაც შეხვედრის დასრულებამდე 1:17 წუთით ადრე გავიდა მოედნიდან და თან 8 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა გაიყოლა. ფაჩულიამ მთლიანობაში 24 წუთი ითამაშა და ისევ შედეგიანად ესროდა: 5-დან 3 ორქულინი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ზაზა ფაჩულია:

– თავდაპირველად ვაკვირდებოდი, თუ რა უნდა გამეკეთებინა, რომ დავხმარებოდი ჩემს თანაგუნდელებს, გუნდს. ახლა უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ და უფრო მხნედ ვთამაშობ. წლის დასაწყისში ძალიან ბევრი მარტივი სროლა ვერ გამოვიყენე, ალბათ ეს იმის ბრალი იყო, რომ ბევრს ვფიქრობდი, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი.

33 მოგებითა და 6 მარცხით გოლდენ სტეიტმა ლიგის ლიდერობა განიმტკიცა, რადგან მდევარმა სან ანტონიომ სეზონის მე-8 მატჩი წააგო.

მორიგი მატჩი ფაჩულიას გუნდს ისევ ოკლენდში, დეტროიტ პისტონსთან ელის.

ხუან მატა: კარგი შედეგია, მაგრამ ფინალი ადრეა

მანჩესტერ იუნაიტედმა ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ტიტულისკენ. მართალია, ეს არ არის პრემიერლიგის ჩემპიონობა, მაგრამ ინგლისის თასის ფინალს გუნდი მიუახლოვდა.

„წითელმა ეშმაკებმა“ ინგლისის ლიგის თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში ჰალ სიტის უმასპინძლეს და მეტოქეს 2 უპასუხო ბურთი გაუტანეს.

ნახევარმცველი ხუან მატა კმაყოფილია გუნდის მიერ ჰალთან მატჩში მიღწეული შედეგით, მაგრამ არ თვლის, რომ გუნდმა 2-ბურთიანი უპირატესობით უკვე მოიპოვა ფინალის საგზური.

ანგარიში ხუან მატამ გახსნა, რომელმაც ჰენრიხ მხითარიანის პასით ისარგებლა, მატჩის მიწურულს კი მარუან ფელაინიმ ანგარიში ორამდე გაზარდა.

შედეგად, იუნაიტედმა ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო 9 თამაშში 9 გამარჯვება მოიპოვა და სერიის გაგრძელებას კვირას პრემიერლიგის ეგიდით ლივერპულთან დაპირისპირებისას ეცდება.

მანამდე კი პატარა ინტერვიუ ჰალისთან გამარჯვების ერთ-ერთ შემოქმედთან.

– 2:0 საკმარისი უნდა იყოს ფინალისთვის. ბედნიერი ხართ?

– ვფიქრობ, კარგი შედეგია. ასევე კარგია, რომ გოლი არ გავუშვით, რადგან ასეთი სახის ტურნირებზე გასვლაზე გატანილ გოლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფელაინის გოლიც მნიშვნელოვანი იყო. ფინალთან ახლოს ვართ, მაგრამ ჯერ არ გავსულვართ.

– კარგად თამაშობდით და ბევრ მომენტს ქმნიდით, მაგრამ მომენტებს ვერ იყენებდით.

– დიახ, რამდენიმე მატჩის მსგავსად ხდებოდა ისე, რომ კარგად ვთამაშობდით, მომენტებს ვქმნიდით, მაგრამ გოლი ვერ გაგვქონდა, მაგრამ მეორე ტაიმში ორჯერ გავიტანეთ, რაც კარგი შედეგია და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მომენტების შექმნა და კარგი ფეხბურთის თამაში, რადგან ასეთი თამაშით უფრო ახლოს ხარ გამარჯვებასთან.

– უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ რა გითხრათ მოურინიომ შესვენებაზე?

– უფრო სწრაფად უნდა გვეთამაშა, უფრო მეტი ტემპი შეგვეტანა თამაშში, ძირითადად ეს. ცოტა უფრო მეტი მომენტი უნდა შეგვექმნა. პირველ ტაიმში გოლის გასატანად გვქონდა საკმარისი შანსები, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში კი მოვახერხეთ და 2:0 მოვიგეთ.

– გამეორებებმა აჩვენა, რომ თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდით.

– როცა დავინახე, რომ მიკი საჰაერო ორთაბრძოლას იგებდა, მეორე ძელთან გადავედი და ბურთი ბადეში გადავგზავნე. იყო შემთხვევები, როცა გოლები წესების დაცვით გაგვქონდა, მაგრამ თამაშგარეს გვიფიქსირებდნენ, ეს ხომ ფეხბურთია. მსაჯებისთვის ძალიან რთულია განსაზღვრა, მაგრამ საბედნიეროდ, გოლი ჩაითვალა.

– იუნაიტედს შეუძლია ტიტულის მოგება?

– „უემბლისკენ“ პირველი ნაბიჯი კი გადაიდგა, მაგრამ საპასუხო მატჩი რთული იქნება. ჰალის ფეხბურთელები საკუთარ სტადიონზე საკუთარი გულშემატკივრების დახმარებით ზეწოლას მოახდენენ. თუმცა, ამით შეშინებული არ გავალთ მოედანზე, რადგან კომფორტულ და ფსიქოლოგიურ უპირატესობას ვფლობთ.

ქართველმა წყალბურთელებმა იტალიასთან წააგეს

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მეორე ტურის მატჩი გამართა და ჯგუფის უმთავრეს ფავორიტთან, იტალიის ნაკრებთან სტუმრად 5:14 დამარცხდა.

წაგება გასაკვირი არ იყო. ქართველებმაც მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწიეს წინააღმდეგობა მეტოქეს, რომელიც 2:1 მოიგეს. მცირე შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და შეხვედრაც ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანეს. იტალიელებმა მეორე მეოთხედი 5:1 მოიგეს, შემდეგ – 3:1 და ბოლოს 5:1 იმარჯვეს.

საქართველოსა და იტალიის ნაკრებები ც ჯგუფში გამოდიან, რუსეთთან ერთად. 2 ტურის შემდეგ, იტალიელებს 2 მოგება აქვთ. აპენინელებმა ქართველებამდე რუსეთს 10:7 მოუგეს. იმავე რუსებთან კი ჩვენები ბოლო წამზე 14:13 დამარცხდნენ.

ქართველი წყალბურთელები მომდევნო მატჩს 14 თებერვალს რუსებთან სტუმრად გამართავენ, ხოლო 4 აპრილს თბილისში იტალიის ნაკრები ჩამოვა.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

10 იანვარი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ს.არაბეთი-სლოვენია	0:0
კამერუნი-ზიმბაბვე	1:1
ჩინეთი-ისლანდია	0:2
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲗᲐᲡᲘ	
მანჩესტერი-ჰალი	2:0
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲗᲐᲡᲘ	
ატლეტიკო-ლას პალმასი	2:3
ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲗᲐᲡᲘ	
ნაპოლი-სპეცია	3:1
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲗᲐᲡᲘ	
ნანტი-ნანსი	0:2
სოშო-მონაკო	1:1(3:4პ)

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ხამეს როდრიგესი სარეკორდო ტრანსფერზე უარს ამბობს

ხამეს როდრიგესს შანსი აქვს, გახდეს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ისტორიაში. ესპანურ მედიაზე დაყრდნობით, კოლუმბიელი ფეხბურთელით ჩინური კლუბია დაინტერესებული და მზად არის, 110 მილიონ ევროს შეელიოს.

თავდაპირველი შეთავაზება 80 მილიონი იყო, რომელიც პერესმა უარყო, ახლა კი საქმე გაცილებით მაღალ თანხას ეხება.

თუმცა, თავად როდრიგესმა ჩინეთში გადასვლასთან დაკავშირებით სასტიკი უარი განაცხადა.

კოლუმბიელი ფეხბურთელი ევროპული ფეხბურთიდან წასვლას არ გეგმავს და სურს, რომ მწვერვალები დაიპყროს, მისთვის ჩინეთში გადასვლა და კარიერის იქ გაგრძელება ყოვლად წარმოუდგენელი რამ არის.

მარიო კემპესი: „მესის მუნდიალის მოგება არ სჭირდება“



წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მარიო კემპესი მიიჩნევს, რომ არგენტინის ნაკრების თავდამსხმელ, ლიონელ მესის რაღაცის დასამტკიცებლად მუნდიალის მოგება არ სჭირდება.

მარიო კემპესი:

– მესი დიდებულ ფეხბურთელთა სიაში უკვე შედის, ამიტომ აუცილებელი არ არის, რომ მან მუნდიალი მოიგოს. კრუიფსა და დი სტეფანოს მსოფლიოს ჩემპიონატის თასი არ აღუმართავთ, მაგრამ ისინი ელიტურ ფეხბურთელებად ითვლებიან. ასეთები კი, კიდევ ბევრია.

პიკეს საკითხს საშეჯიბრო კომიტეტი განიხილავს

ბარსელონას მცველი, ჟერარ პიკე ესპანელი არბიტრების მიმართ გაკეთებული განცხადებების გამო შესაძლოა დაისაჯოს.

შეგახსენებთ, რომ ბილბაოსა (2:1) და ვილიარეალის (1:1) წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრების შემდეგ მან ფერნანდეს ბორბალანი და იგლესიას ვილიანუევე უპატივცემულოდ მოიხსენია.

– არბიტრები? ყველაფერი დაინახეთ. ყოველ კვირას მსაჯები უფრო და უფრო მეტ მიზეზს მაძლევენ კომენტარების გასაკეთებლად. ყველამ კარგად შეამჩნია, თუ რა ხდებოდა დღეს მოედანზე, – განაცხადა პიკემ ვილიარეალთან მატჩის შემდეგ.

სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორიანო სანჩესმა განაცხადა, რომ პიკეს წინააღმდეგ საჩივარი იქნება შეტანილი, რომელსაც საშეჯიბრო კომიტეტი განიხილავს.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

როგორ ავიცილოთ კვებითი ალერგია

ეკა ირემაშვილი

კვებითი ალერგია საკმაოდ გლობალური პრობლემაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. საახალწლო დღეებში კი ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება.

როგორ ავირიდოთ თავიდან კვებითი ალერგია, ამ თემაზე ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ექიმი, ალერგოლოგი ნინო ლომიძე საუბრობს.

ნინო ლომიძე:

– კვებითი ალერგია XXI საუკუნის აქტუალური პრობლემაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ცნობილია, რომ ბავშვთა პოპულაციის დაახლოებით 5-6 პროცენტს კვებითი ალერგია აღენიშნება, ხოლო მოზრდილების – 1-2 პროცენტს.

ყველაზე გავრცელებული კვებითი ალერგენებია: რძე, კვერცხი, თევზი, ხორბალი, სოიო, არაქისი და ზღვის პროდუქტები. რძის, კვერცხისა და ხორბლის ალერგია ბავშვთა დაახლოებით 90%-ს სკოლის ასაკამდე გასდის, ხოლო თხილი, ნიგოზი, თევზი, არაქისი უფრო სტაბილური ალერგენებია და პაციენტების გარკვეულ ნაწილს ცხოვრების ბოლომდეც მიყვება.

– როგორ უნდა იკვებონ სადღესასწაულო დღეებში ალერგიული ადამიანები?

– როდესაც დღესასწაულებია, ალერგიულმა პაციენტებმაც და ჩვეულებრივმა ადამიანებმაც, ბევრი რამ უნდა გაითვალისწინონ.

ვისაც უკვე დადგენილი აქვს ალერგია სხვადასხვა საკვები პროდუქტის მიმართ, ძალიან მაღალი ალბათობაა, რომ სადღესასწაულო დღეებში მრავალფეროვანი საკვების ხილვისას ცდუნებას ვერ გაუძლონ, ხანდახან სტუმრად ყოფნის დროს მშობლები თავად ბოლომდე ვერ აკონტროლებენ ბავშვებს და ალერგიული საკვების მიღებისას ვითარდება ალერგიული რეაქცია. ხანდახან კონკრეტულ საკვებზე ალერგია შენიღბული ფორმითაც გვევლინება, მაგალითად, გასათვალისწინებელია, რომ თხილი შედის ზოგიერთი მაღალი ხარისხის ლუდების შემადგენლობაში, რძე ნაღებსა და თეთრი შოკოლადის ლიქიორებში. კვერცხის ცილა კი შესაძლოა გამოყენებულ იქნას სპეციალურ სასმელებში ქაფის დასამატებლად.

– არის თუ არა ალერგიული ღვინო?

– ღვინო უმჯობესია სუფთა და ნატურალური იყოს, რადგან სულფიტების შემცველმა ღვინომაც შეიძლება პროვოცირება მოახდინოს ალერგიული რეაქციის განვითარების. უფრო მეტად ალერგიულია წითელი ღვინო, ვიდრე თეთრი ღვინო.

არ იფიქროს ჩვენმა მკითხველმა, რომ მხოლოდ ის პაციენტები უნდა მოერიდონ, ვისაც მხოლოდ ალერგია აქვს. არაალერგიულ ადამიანსაც შესაძლებელია განუვითარდეს კვებითი რეაქციები ახალი წლის დღეებში.

– რატომ?

– ეს ყველაფერი უპირატესად სიჭარბის გამო ხდება. როცა რამდენიმე დღის მანძილზე დიდი რაოდენობით ალერგიულ საკვებს ღებულობს ადამიანი, იქნება ეს თხილი, ნიგოზი, შოკოლადი, თაფლი, ციტრუსები თუ ალკოჰოლური სასმელი, შესაძლებელია სიჭარბის გამო მოხდეს ალერგიული რეაქციის განვითარება. ალერგიის პროვოცირებას ახდენს ასევე ყავა, ცხარე, მწარე, მჟავე საკვები, ე.წ. კეტჩუპი, მაიონეზი და სხვა. ზუსტად სადღესასწაულო დღეებში გადავსებულია სუფრა ამ პროდუქტებით, ამიტომ მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო.

ნინო ლომიძე

– რა ნიშნებით ვლინდება ალერგია სადღესასწაულო დღეებში?

– უხშირესად ეს გამოიხატება კანის ალერგიული გამოვლინებებით. ჭინჭრის ნასუსხის მაგვარი გამონაყარი არის ერთ-ერთი ხშირი ალერგიული გამოვლინება, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს როგორც მსუბუქი, ასევე გართულებული ფორმით. ახალი წლის შემდგომ უკვე არაერთმა პაციენტმა მოგვმართა, რომელსაც გადასხმა დასჭირდა სწორედ კვებითი გადაჭარბების გამო. ასევე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ტუჩის, ქუთუთოების, მთლიანი სახის შეშუპებასაც, რთულ შემთხვევებში კანის გარდა შესაძლებელია ბრონქოსპაზმიც განვითარდეს, იშვიათად შოკური რეაქციებიც კი შეიძლება გამოიწვიოს.

– მკითხველი რომ არ შევაშინოთ, რა რეკომენდაცია შეგიძლიათ მისცეთ მათ?

– წინ ძველით ახალი წელიწადია, ისევ სადღესასწაულო სუფრა და ალერგიის გამოვლინების ახალი ტალღაა მოსალოდნელი. პირველ რიგში, ადამიანებმა უნდა დაიცვან ზომიერება, არ არის სასურველი ძალიან დიდი რაოდენობით სხვადასხვა ალერგიული საკვების ერთბაშად, დიდი რაოდენობით მიღება. მამაკაცების საყურადღებოდ კი უნდა ითქვას, რომ ალკოჰოლური სასმელების არევა არ არის კარგი. ღვინის, არყის, კონიაკის არევა დაუშვებელია, ეს იწვევს არა მარტო ალერგიას, არამედ ინტოქსიკაციასაც. ასევე სასურველია წინასაახალწლოდ ალერგოლოგის კონსულტაცია იმისთვის, რომ მიიღონ სწორი რჩევები

– თუ ადამიანმა იცის, რაზეა ალერგიული?

– თუ ადამიანმა იცის, რაზეა ალერგიული, სჯობს ერიდოს ან ალერგოლოგთან შეთანხმებით გაიწეროს გეგმა, რა შეიძლება მიიღოს, რა დოზით და ა.შ. ეს ეხება ალერგიულ პაციენტებს, ვინც გამოკვლეულია, ხოლო მათ, ვისაც არ ჰქონიათ ალერგიული გამოვლინება, რეკომენდებულია დაიცვან ზომიერება, რათა მოსალოდნელ ალერგიულ გართულებას თავი აარიდონ.

– მარტივი ანტიალერგიული მედიკამენტების მიღება პროფილაქტიკის მიზნით თუ დასაშვებია?

– სულ ამაზე ვაკეთებთ აქცენტს ექიმები, როცა ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობთ, თვითმკურნალობა სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს, პირიქით, ამ დროს უფრო რთულდება, ღრმავდება და შესაძლებელია დაავადების ქრონიზაციას შეუწყოს ხელი. აუცილებელია წინასწარ ანალიზების ჩატარება და სწორი მედიკამენტის სწორი დოზირებით დანიშვნა ექიმის მიერ, რომ მკურნალობა იყოს წარმატებული. ხშირად თვითნებური მკურნალობა მეზობლის, ფარმაცევტის, ახლობლის რჩევით იმ მომენტში გარკვეულ შეღავათს აძლევს პაციენტს, მაგრამ მის დაავადებას საბოლოოდ არ კურნავს, ამიტომ ექიმთან მისვლა აუცილებელია. მით უმეტეს, რომ დღევანდელ დღეს მედიცინა ძალიან სწრაფად ვითარდება, მათ შორიც ალერგოლოგიაც, სულ იცვლება მიდგომები, უფრო დეტალური ხდება დაავადებების დიაგნოსტირება და სპეციალისტის რჩევა და რეკომენდაცია ამ დროს მნიშვნელოვანია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ქალეიდოსკოპი

ამერიკელმა მშობიარობის დროს ჩუბაკის ნიღაბი გაიკეთა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტის მცხოვრებმა ფეხმძიმე ქალბატონმა მშობიარობის დროს კინოსაგის „ვარსკვლავური ომების" პერსონაჟის ჩუბაკის ნიღაბი გაიკეთა.

საავადმყოფოში გადაღებული ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ქალბატონმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა და ის უკვე 90 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

– ის, რომ დედა უნდა გავხდე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროა მოზრდილივით ვიქცეოდე, – დაწერა კეტი სტიკერ კერტისმა ვიდეოკლიპისთვის თანდართულ კომენტარში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
12 იანვრისათვის

ვერძი – ეს დღე შესაფერისია ფიზიკური დატვირთვისა და სუფთა ჰაერზე სეირნობისათვის. მერკურის მფარველობის მეოხებით ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კურო** – განიწმინდეთ სულიერად და ხორციელად. მიუტევეთ. გელით საინტერესო და ხელსაყრელი შემოთავაზება. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ბევრი რამ იცვლება. ნებისმიერი კომერციული ოპერაციის განხორციელებამდე კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – კვლავ დაძაბული ხართ. საკუთარი პოზიციების მტკიცედ დაცვა აუცილებელია. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლა გეკრძალებათ. ეს დღე ოჯახს მიუძღვენით. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ქალწული** – საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დროა. ნებისმიერი რისკი გაუმართლებელია. **სასწორი** – გრძელვადიანი გეგმების კორექტირება მოგიწევთ. იოლად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეზე ან შემოთავაზებაზე, შესაძლოა, უარი თქვათ. გეგმები გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ნებისყოფა და თავშეკავება გმართებთ. **თხის რქა** – დაკისრებული მოვალეობები ძალიან დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. სასიყვარულო პაემანი იმედს გაგიცრუებთ. **მერწყული** – ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ცვლილებებია მოსალოდნელი. საკუთარი გეგმების რეალიზებაში ხელს არაფერი გიშლით. **თევზები** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. თქვენი ენთუზიაზმი ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. ოცნება გისრულდებათ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1 სპორტიანი სასმელების მწარმოებელი ფირმა აშშ-ში; 2. აეროპორტი კიევში; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ერთმანეთში შეგროვებული ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. ბრაზილიური არაყი; 9. წარმოების ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა; 11. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 14. ქართული პრიმა-ბალერინა; 18. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი.

თარაზულად: 4. იტალიელი მოდელიორი; 5. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, სადაც გაიმართა პირველი საეკლესიო კრება; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 10. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 13. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 15. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 16. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 17. საჭმელი სოკო; 20. გამოცანა, თავსატეხი; 21. მათემატიკური ორწევრი; 22. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი სტალინური პრემიის ლაურეატი; 23. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ციპრასი; 2. კონსტებლი; 3. რეცენზია; 4. კომოციო; 5. ამპერი; 9. მოსადი; 11. ჩარტერი; 12. ფილტრი; 14. კეპლერი; 18. იტილი; 19. ხარკი.

თარაზულად: 4. „კაჭიჭი"; 5. აერობუსი; 6. კელია; 7. ემბარგო; 8. ესკიმო; 10. ქერჩი; 13. საკურა; 15. ენისეი; 16. იუტა; 17. დოღი; 20. ლოკალი; 21. „ვინილი"; 22. პოლგარი; 23. კახეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰიტი; 2. სინჯი; 3. ტვისტი; 5. ტუსკი; 6. კუპიდონი; 8. პრეფერანსი; 10. მირკანი; 12. ბონდერი; 14. კეხურა; 15. პანიკა; 16. „ოჰარა".

თარაზულად: 1. „ჰენესი"; 4. სტატიკა; 7. „ჰუნდაი"; 9. ტუნისი; 11. თერაპია; 12. ბარიტონი; 13. აკვანი; 17. პრერია; 18. „ანსა"; 19. ფრენბურთი; 20. სიბარიტი.

ზურა ბერიკაშვილი პატრულმა დააჯარიმა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს ზურა ბერიკაშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ.

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მსახიობს პატრულმა ჯარიმა გამოუწერა და უთხრა, გივი ბერიკაშვილი სულ ფეხებზე გვკიდიაო. ზურა ბერიკაშვილი ამ ინფორმაციას გამოეხმაურა და განმარტებები გააკეთა.

ზურა ბერიკაშვილი:

– ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს პატრულთან უთანხმოება მომივიდა და პოლიციელებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენეს. მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, მანქანის გასაღებზე ჩამოკიდებული პატარა ჯაყვის გამო გამომიწერეს ფულადი ჯარიმა!

ელენე კალანდაძემ ისრაელში უმაღლესი ქულები დაიმსახურა

ახალგაზრდა ქართველმა მომღერალმა ელენე კალანდაძემ ისრაელში გამართულ კონკურსში უმაღლესი ქულები დაიმსახურა.

მუსიკალური და გარდასახვის შოუს „ერთი ერთში“ გამარჯვებული მომღერალი კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და სხვადასხვა უცხოურ პროექტებში მონაწილეობს. ელენემ ამჯერად მონაწილეობა მიიღო ისრაელში გამართულ კონკურსში, რომელიც ევროვიზიას ეძღვნება და საუკეთესო ხუთეულშიც მოხვდა.

ელენემ ჟიურისა და მსმენელისთვის სიმღერა – ერთ-ერთი უცხოური ჰიტი შეასრულა და ჟიურისგან უმაღლესი ქულები დაიმსახურა.

ზაზა პაპუაშვილი რუსთაველის თეატრიდან გაუშვეს

საქართველოს მთავრობის მიერ ოპტიმიზაციის პროცესი რუსთაველის თეატრსაც შეეხო. როგორც თეატრის იურისტმა ლაშა გოგინაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, თეატრის ხელმძღვანელობამ 5 თანამშრომელი გაათავისუფლა.

ლაშა გოგინაშვილი:

– თეატრის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად შეეცადა ბიუჯეტის შემცირება უმტკივნეულოდ ასახულიყო თანამშრომლებზე. რა ფორმით განვახორციელებდით ოპტიმიზაციის პროცესს, ჩვენი არჩევანიც იყო და გარკვეული რეკომენდაციებიც მივიღეთ.

რუსთაველის თეატრში 2 შტატი გაუქმდა და 2 სამსახური თეატრის შიდა შემოსავლებზე იქნა აყვანილი. სამსახურიდან გათავისუფლდა პიარიდან 1 თანამშრომელი, 1 მენეჯერი, ბატონი რობერტ სტურუას 1 მრჩეველი, 1 რეჟისორის თანაშემწე. თანამშრომლები შემცირდა მხოლოდ იმ სტრუქტურებში, სადაც თეატრის მუშაობა არ შეფერხდებოდა.

რაც შეეხება დასს, დასიდან მხოლოდ ზაზა პაპუაშვილი გათავისუფლდა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო თეატრის ხელმძღვანელმა. ყველაფერი მოხდა კანონის სრული დაცვით არა მარტო ზაზა პაპუაშვილთან, არამედ ყველა თანამშრომელთან მიმართებაში.

მას გაეგზავნა მადლობის წერილი ბატონი რობერტ სტურუას ხელმოწერით. ზაზა პაპუაშვილს თეატრიდან გათავისუფლების მიუხედავად, თუ სურვილი ექნება, ნებისმიერ დროს შეუძლია ითანამშრომლოს თეატრთან და სპექტაკლებში ითამაშოს.

ვახტანგ კახიძე გერმანიაში მიიწვიეს



დირიჟორი ვახტანგ კახიძე გერმანიაში მიიწვიეს, სადაც გრანდიოზული გალა-კონცერტი ჩატარდა ბერლინის ფილარმონიის დიდ დარბაზში.

თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა, ანსამბლმა „რუსთავი“, საბავშვო გუნდმა „მძლეავარი“ და დუდანა მაზმანიშვილმა ერთობლივი კონცერტი ჩაატარეს და ქართულ-გერმანული წელი გახსნილად გამოაცხადეს.

ვახტანგ კახიძის „საშობაო ტრილოგია“ მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაციებით მიიღო. ორკესტრისა და გუნდების შესრულება საოცრად ორიგინალური და დახვეწილი იყო. მაყურებლით სავსე დარბაზი ემოციებს არ მალავდა. დარბაზმა შემსრულებლები განმეორების მოთხოვნით სცენაზე ხუთჯერ გამოიყვანა.

ვახტანგ კახიძის „საშობაო ტრილოგიის“ ფრაგმენტების, ბისზე რამდენიმე შესრულების შემდგომ, მეხუთე ბისი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, ბერლინის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მაესტრო ჯანსუღ კახიძის შეუდარებელი „მრავალჟამიერი“ გაჟღერდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯასლეიდოსკოპი

საფრანგეთში კარდაშიანის გაძარცვის მონაწილეები დააკავეს

საფრანგეთის პოლიციამ ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის ძარცვის საქმეზე 17 ადამიანი დააკავა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეჭვმიტანილების დაკავების ოპერაცია ადგილობრივი დროით დილის ექვს საათზე დაიწყო. დაპატიმრებები ქვეყნის რამდენიმე რეგიონში განხორციელდა, ძირითადად პარიზში, ზღვის სანაპიროსა და ალპებში. თავდაპირველად 16 ეჭვმიტანილის დაკავება განხორციელდა, თუმცა მეორე დღეს დააკავეს კიდევ ერთი ეჭვმიტანილი, რომელიც კარდაშიანის პარიზელი მძღოლი აღმოჩნდა.

27 წლის მამაკაცი მუშაობს კომპანიაში, რომელიც კარდაშიანს ემსახურებოდა მისი პარიზში მოდის კვირეულზე სტუმრობის დროს. პოლიციის ვარაუდით, მძარცველებმა სავარაუდოდ მისგან მიიღეს ინფორმაცია ტელევარსკვლავის შესახებ.

ეჭვმიტანილების დაკავებისა და ჩხრეკის დროს პოლიციამ 300 ათასი ევრო აღმოაჩინა. სავარაუდოდ, ეს ფული მათ კარდაშიანისთვის წართმეული ნივთების გაყიდვით მიიღეს. ამასთან, თავად ძვირფასეულობა ვერ იპოვეს.

ლონდონის მეტროში მგზავრები უშარვლებოდ მგზავრობენ

ლონდონში ყოველწლიური ფლეშმობის ასობით მონაწილე მეტროში შარვლის გარეშე ჩავიდა.

ასობით ბრიტანელი გამოწყობილი იყო ქურთუკებში, ჯემპრებში, საცვლებში, წინდებსა და ფეხსაცმელში. აღსანიშნავია, რომ ფლეშმობის მონაწილეები ერთმანეთს ლონდონის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ სადგურში შეხვდნენ, ვიდრე თავიანთ მგზავრობას დაიწყებდნენ სხვა გაჩერებებისკენ. ერთ-ერთი აქტივისტის თქმით, გამვლელები იუმორით ხვდებოდნენ აქციის მონაწილეებს.

შეგახსენებთ, რომ პირველად აღნიშნული ფლეშმობი 2002 წელს ნიუ-იორკში გაიმართა. მას შემდეგ ეს აქცია სხვა ქალაქებშიც გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ ყოველ წელს ფლეშმობში ცხრიდან ათი ათასამდე ადამიანი იღებს მონაწილეობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, შესანიშნავი პიროვნება, სანიმუშო მეგობარი და კოლეგა

ვალტერ ბუგიანიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მერაბ და ჯემალ მანჯგალაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის, შესანიშნავი პიროვნების

ნუგზარ შალვას ძე მანჯგალაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

დღის კალენდარი

12 იანვარი



წლის მე-12 დღე, ახალ წლამდე დარჩა 353 დღე.

საეკლესიო კალენდარი

მართალი იოსებ დამწვინდველი, დავით მეფე, ფსალმუნთა მთქმელი, და იაკობ, ძმა უფლისა ხსენება წმიდა მოწამის ანუსია ქალწულისა; წმიდა მღვდელმოწამე ზოტიკე ხუცისა, ობოლთა აღმზრდელისა; 70-თაგან წმიდა მოციქულის ტიმონისა; წმიდა მოწამის ფილერეტ ნიკომიდიელისა; ღირს დედათა: თეოდორა კესარიელისა და თეოდორა კონსტანტინეპოლელისა.

წმიდა მოწამე ანუსია ქალწული ქალაქ თესალონიკში ცხოვრობდა ქრისტიანთა მდევნელი იმპერატორის მაქსიმიანეს დროს. ქრისტიანული რწმენისთვის ის სიკვდილით დასაჯეს.

წმიდა მღვდელმოწამე ზოტიკე, ობოლთა აღმზრდელი, თავიდან წარჩინებული რომაელი მოქალაქე იყო და იმპერატორის კონსტანტინე დიდის სასახლის კარზე მსახურობდა. მალე მან დატოვა საერო ცხოვრება და თავის სახლში თავშესაფარი მოაწყო გაჭირვებულთათვის. როცა საიმპერატორო ტახტზე კონსტანტინე დიდი მისმა ძემ კონსტანტიმ შეცვალა, რომელიც პრიოსის მწვალებლობის მიმდევართ მფარველობდა, არ მოინონა ზოტიკეს ღვაწლი და ამის გამო სატანჯველს სწია.

70-თაგან წმიდა მოციქული ტიმონი განეკუთვნება იერუსალიმის ტაძრის შვიდ დიაკვანთა რიცხვს, რომელნიც თვით უმთავრეს წმიდა მოციქულთა მიერ იყვნენ დადგინებულნი ქრისტიანი ქვრივებისა და ღარიბ-გლახაკთა დასახმარებლად.

ღირსი დედა თეოდორა კესარიელი VIII საუკუნეში ცხოვრობდა და რომაელი პატრიცის თეოფილესი და მისი მეუღლის თეოდორას ასული იყო. როცა ის წამოიზარდა, დედამ წმიდა ანას მონასტერში მიიყვანა.

ხატმბრძოლმა იმპერატორმა ლევ ისავრიელმა გადაწყვიტა თავის ერთ-ერთ წარჩინებულზე დაექორწინებინა თეოდორა ქალწული, რომელიც ძალით წამოიყვანეს მონასტრიდან კონსტანტინოპოლში, სადაც უკვე ყველაფერი მოემზადებინათ ქორწილისთვის, მაგრამ საქორწინო ნადიმის დროს დედაქალაქს სკვითების ლაშქარი შემოესია და წმიდა თეოდორას საქმრო ბრძოლაში დაიღუპა. წმიდა ქალწულმა ისარგებლა არეულობით და სასახლიდან გაიპარა. იგი თავის სავანეს დაუბრუნდა და მონაზვნად აღიკვეცა.

დაიბადნენ:

1628 – შარლ პერო, ფრანგი მეზღაპრე. გარდაიცვალა 1703 წელს.

1867 – ჯეკ ლონდონი, ცნობილი ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1916 წელს.

1887 – მიხეილ შუხაევი, მხატვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. გარდაიცვალა 1973 წელს.

1897 – მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი, ფილოლოგი. გარდაიცვალა 1958 წელს.

1905 – შალვა რადიანი, კრიტიკოსი, პროფესორი. გარდაიცვალა 1977 წელს.

1926 – ლევან ცუცქირიძე, მხატვარი, პროფესორი.

1929 – გურამ საღარაძე, მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2013 წელს.

1937 – მიხეილ მესხი, ცნობილი ფეხბურთელი. გარდაიცვალა 1995 წელს.

გახდაიცვალნენ:

1976 – აგატა კრისტი, გამოჩენილი ინგლისელი მწერალი.

1977 – ანრი კლუზო, ფრანგი რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი.

1991 – ვასკო პრატოლინი, იტალიელი მწერალი.

მოვლენები:

1768 წელი – ეკატერინე II-ის ბრძანებით დაიბეჭდა პირველი ასიგნაცია – ქაღალდის ფული.

1793 წელი – დასრულდა პეტერბურგის კონვენცია (პოლონეთის მეორე გაყოფა).

1899 წელი – საზეიმოდ გაიხსნა სატელეფონო კავშირი პეტერბურგსა და მოსკოვს შორის.

1991 წელი – აშშ-ს კონგრესზე გადაწყდა, გამოეყენებინათ სამხედრო ძალები ქუვეითიდან ერაყის სამხედრო ძალების გამოსაყვანად.

1992 წელი – რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ შავი ზღვის ფლოტის გაყოფაზე.

ღირსსახსოვარი დღეები:

რუსეთის ფედერაცია – პროკურატურის მუშაკთა დღე.

თურქმენეთი – ხსოვნის დღე.

ტანზანია – ზანზიბარის რევოლუციის დღე.

მედიანიუსი

პროგრამა

ხუთშაბათი 12 იანვარი

07.00 დოკ/ფ "ადამიანის ბუნება" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები **30** წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** დოკ/ფ "საშობაო ნათურების შემოსვევა" **15.00, 03.40** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** მხ/ფ "**შემოდგომის ლეგენდები**" (ე.ჰოპკინსი) **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**ჩემპიონი პოკერისტები**" (ჰ.ნიუმენი) **04.40** "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "ინკების მარილი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" **11.05** მხ/ფ "**სამი დღე**" **12.35** დ/ფ "დიზაინი" **13.00** ტ/სერ. "**ჩენგოო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ლანსის ლუვრი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბუნების მუსიკა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პაპარაძელი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **9** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-6**" **00.00** მხ/ფ "**წარმოიდგინე**" **02.00** მხ/ფ "**ძიძა**" **03.30** მხ/ფ "**სტეიფორდელი ცოლები**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ოსმალების რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** კომედი კონცერტი - **2016 23.30** კონცერტი "ჯინომუსიკა,მემანიშვილი"დამთავრებისას მხ/ფ კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

08.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი პაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სპანდალი**" **11.00** სერ. "**ჯერიო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**საუნოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მოოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**პროექტი იქსი**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00 18| 01.00** მხ/ფ "**მკვლელობა რიცხვებით**" **03.10** მხ/ფ "**თაღლითები**" **05.05** მხ/ფ "**ფოტო ერთ საათში**" **06.35** მხ/ფ "**იდეალური მკვლელობა**"

06.15 სჯანი-ურთიერთმიმართებ**ა 06.40** პატერიკი-ასისთავის შესახებ, რომელიც მოწყალებამ იხსნა საპყრობილედან **06.45** დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ყველაზე სწრაფები მსოფლიოში**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "დიზაინი ფერში" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "ორაგული ბრინჯის საკაზმით" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** წმინდანთა ცხოვრება "გორგასალი" **20.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** წმინდანები "წმინდა შუშანიკ დედოფალი" **21.45** დიდ ხარ შენ უფალო..."იოსების დაბადება" I **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მისანი თუ შელეგ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 იანვრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7403	ევრო — 2.9023
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3311	100 რუსული რუბლი — 4.5681

ამინდის პროგნოზი 12 იანვრისთვის

10 იანვრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ვიქტორ ჰიუგო

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

17 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე
ციყვი ბორბალში

რევაზ მიშველაძის ამ ახალ რომანში აღწერილია სააკაშვილის ათწლეულის საქართველოს ცხოვრება და ნაწარმოების ცენტრშიც, ბუნებრივია, თვით მიხეილ სააკაშვილი დგას. ნაჩვენებია, თუ როგორ კამათლებივით აგორავებდა თავგასული ხელისუფალი უბრალო მოქალაქის ბედს. რომანი წარდგენილია ნობელის პრემიაზე.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ზლატანმა შესაძლოა ლივერპულთან არ ითამაშოს



მანჩესტერ იუნაიტედის შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შესაძლოა ლივერპულის წინააღმდეგ თამაში ვერ შეძლოს.

ამის მიზეზი მცირე ტრავმაა, რომელიც იბრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო. ჟოზე მოურინიოს ზლატანზე კითხვა დაუსვეს და პორტუგალიელმა სპეციალისტმა პასუხს თავი აარიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზუსტად არავინ იცის, ითამაშებს თუ არა იბრაჰიმოვიჩი ლივერპულთან.

თვითონ ზლატანს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მანჩესტერ იუნაიტედი ლივერპულს საკუთარ მოედანზე 15 იანვარს მიიღებს. ეს მატჩი ინგლისურ კლასიკად ითვლება, ამიტომ მას გულშემატკივარი მოუთმენლად ელის.

რაკიტიჩი ბარსელონიდან მიდის?

ბარსელონას ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩი შესაძლოა მალე მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გახდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რაკიტიჩს კლუბის შეცვლა სურს, მანჩესტერ სიტი კი მის მიმართ რეალურ ინტერესს გამოხატავს.

ჯერჯერობით თვითონ ფეხბურთელი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა არც უარყოფს.

სავარაუდო სატრანსფერო ფასი რაკიტიჩის ტრანსფერში 40 მილიონი ევრო იქნება.

ივან რაკიტიჩი ბარსელონაში 2014 წლის ზაფხულში გადავიდა სევილიიდან, სადაც ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ბარსელონაში მან ბევრი კარგი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა გულშემატკივართა ნაწილი ფიქრობს, რომ ის სევილიაში უკეთესად თამაშობდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გერმანელ ინვალიდებს სექს-მომსახურების ფულს სახელმწიფო აუნაზღაურებს



გერმანიის „მწვანეთა პარტიის“ წარმომადგენელმა წამოაყენა წინადადება, რომ ინვალიდებსა და მძიმე ავადმყოფებს ინტიმური მომსახურების ფული სახელმწიფო ბიუჯეტმა აუნაზღაუროს.

ბუნდესტაგის დეპუტატის ელისაბედ შარფენბერგის შეხედულებით, სუბსიდირება იმ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს, როდესაც მეძავის მომსახურების მოთხოვნილება სამედიცინო დასკვნით იქნება დადასტურებული და თუ მას ამ მომსახურების თავად ანაზღაურების საშუალება არ ექნება. ამგვარი მოდელი უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს ჰოლანდიაში. ამ ქვეყანაში სექს-მომსახურების ღირებულებას ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო ანაზღაურებს, როგორც სამედიცინო მომსახურებისთვის გაწეულ ხარჯებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ახალგაზრდას ჟურნალისტი ეკითხება:

– თქვენმა ბებიამ 100 წლამდე იცოცხლა. ეს როგორ მოახერხა?

– ის მეტად მიზანდასახული ადამიანი იყო.

– და რა იყო მისი უმთავრესი მიზანი?

– პაპაჩემზე დიდხანს ეცოცხლა!

•••

საავადმყოფოში დილის შემოვლა მიმდინარეობს. პირველი პალატა. მთავარი ექიმი პირველ ავადმყოფს ეკითხება:

– დიაგნოზი?

– ბუასილი.

– რითი მკურნალობთ?

– იოდს მისვამენ.

– რაიმე ჩივილი გაქვთ?

– არა.

ეკითხება მეორე ავადმყოფს:

– დიაგნოზი?

– ბუასილი.

– რითი მკურნალობთ?

– იოდს მისვამენ.

– რაიმე ჩივილი გაქვთ?

– არა.

ეკითხება მესამე ავადმყოფს:

– დიაგნოზი?

– ანგინა.

– რითი მკურნალობთ?

– იოდს მისვამენ.

– რაიმე ჩივილი გაქვთ?

– დიახ. პირველი მე წამისვან.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– გუშინ გამეღვიძა და ჩემ გვერდით არ იყავი. სად იყავი, ძვირფასო?

– და სად გაგეღვიძა, ძვირფასო?

•••

ტელეფონი რეკავს, ყურმიღი ბავშვმა აიღო და კითხულობს:

– ვინ გნებავთ?

– მამა სახლშია?

– არა. გამგზავრა.

– დასასვენებლად?

– არა, დედასთან ერთად.

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, ვითამაშოთ.

– რა ვითამაშოთ?

– სახანძრო მანქანობა.

– ვითამაშოთ, მაგრამ როგორ?

– ჩემი ხელი შენ ფეხზე ზევით და ზევით მისრიალებს, სანამ შენ არ იტყვი „წითელი შუქნიშანია!“

– კარგი!

– ...

– წითელი შუქნიშანია!

– სახანძრო მანქანები წითელ შუქნიშანზე არ ჩერდებიან...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

12 იანვრიდან



კულინარია ჰობად

ამ წიგნში მოცემულია როგორც კარგად ცნობილი, ასევე უცნობი რეცეპტები, რომელთა მომზადებასაც სახლის პირობებში თითოეული თქვენგანი ძალიან მარტივად შეძლებს.

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ვაკო ყაზაიშვილი ლეგიასთან ერთად ესპანეთში შეკრებაზე გაემგზავრა

პოლონური ლეგია 10 იანვარს ესპანეთში გაემგზავრა, სადაც სეზონის მეორე ნაწილისთვის მოემზადება.

ლეგიაში ქართველი ფორვარდი ვაკო ყაზაიშვილი თამაშობს, რომელიც ასევე გაემგზავრა ესპანეთში. ლეგია რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებს ესპანურ გუნდებთან, თუმცა რომელ გუნდებზეა საუბარი, ჯერჯერობით უცნობია.

სეზონის პირველ ნახევარში ყაზაიშვილი იშვიათად ხვდებოდა ლეგიას ძირითად შემადგენლობაში და ძირითად ცვლილებებზე გამოდიოდა.

ქართველი ფორვარდი ლეგიაში წლევანდელ ზაფხულს გადავიდა, მანამდე კი წლების მანძილზე ჰოლანდიური ვიტესის ღირსებას იცავდა.

შოთა არველაძე ზვოლეს მწვრთნელი გახდება

შოთა არველაძე, რომელიც ცოტა ხნის წინ მაკაბიდან გაათავისუფლეს, სავარაუდოდ, თავის სამწვრთნელო კარიერას ჰოლანდიაში გააგრძელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არველაძე ზვოლეს მწვრთნელი გახდება, რომელიც ამჟამად ჰოლანდიის ჩემპიონატში მე-16 ადგილზე იმყოფება და გასავარდნ ზონაშია.

არველაძეს ჰოლანდიაში კარგად იცნობენ, რადგან წლების წინ ის ამსტერდამის აიაქსის ერთ-ერთი ლიდერი იყო. რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, არველაძეს ჯერჯერობით ჰოლანდიური გუნდი არ გაუწვრთნია და ზვოლე პირველი იქნება.

აიაქსის გარდა, არველაძე ჰოლანდიაში ალკმაარის ღირსებასაც იცავდა.

პეპე ზაფხულში რეალს დატოვებს



მადრიდის რეალის პორტუგალიელი მცველი პეპე ზაფხულში გუნდს დატოვებს. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება.

პეპეს კონტრაქტი უმთავრდება, ხოლო ახალ კონტრაქტს მას რეალი არ სთავაზობს, ამიტომ პეპე ზაფხულში რეალიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა.

სად გააგრძელებს კარიერას პორტუგალიელი მცველი, ჯერჯერობით უცნობია. მისი შეძენით რამდენიმე ჩინური კლუბია დაინტერესებული და პეპეც სავარაუდოდ ჩინეთს მიაშურებს.

პეპე 8 წელიწადზე მეტია, რაც რეალის ღირსებას იცავს. ის ამ გუნდში 2008 წელს გადავიდა. მანამდე პეპე პორტოს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი 5



შვეულად: 1. მარჯანს ძველი ქართული სახელწოდება; 2. შვედური ავტომობილი; 3. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრი; 5. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 6. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 10. ტროპიკული ხილი; 12. მდინარე ამსტერდამში; 14. დიპლომატიური კურიერის სპეციალური, დალუქული ჩანთა; 15. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

თარაზულად: 1. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 4. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 7. ამერიკელი ესტრადის მომღერალი მამაკაცი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 11. ძვირფასი ლითონი; 12. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 13. თევზის საჭერი მოწყობილობა; 17. სისხლის თხევადი ნაწილი; 18. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა